შორენა შორეული

ქალი ვარ. . .

შორენა შორეული
(ზაქრაძე)

ქალი ვარ...

თბილისი
2014

მკითხველის სამსჯავროზე გამოგვაქვს ემიგრანტი პოეტის შორენა შორეულის ლექსების პირველი კრებული. ვიმედოვნებთ, მისი ამაღლებული პოეზია მალე დაიპყრობს ჭემარიტი პოეზიის მოყვარულთა გულებს და ქალბატონი შორენა დაიმკვიდრებს თავის კუთვნილ ღირსეულ ადგილს თანამედროვე ქართველ პოეტთა ბრწყინვალე თანავარსკვლავედში.

რედაქტორი სიმონ. გოგიძე

მხატვარ-დიზაინერი ლიკა . ნუცუბიძე

© შორენა შორეული (ზაქრაძე), „ქალი ვარ...“
© გამომცემლობა „**Teart**“

ISBN 978-9941-0-7324-3

სულის ცისფერი მუსიკა

ცხოვრება, იქნებ, მართლაც უსახური და ღატაკი სინამდვილეა!.. იქნებ მაგიური, მირაჟული რეალობაც და პირველიდან უკანასკნელ განთიადამდე თანმხლები ტკივილებიც, მარტოდენ ფანტომური ტკივილები იყოს და სხვა არაფერი. .

იქნებ...

მაგრამ, განა ამ უსახურ, ერთფეროვან და ღატაკ სინამდვილეში არ იბადებიან ლამაზი მითები და სევდიანი ლეგენდები? უდაბნოებში არ ჩნდებიან ოაზისები? ხრიოკებზე არ აშენებულა ამასისის, – ბაბილონელი დედოფლის, – დაკიდებული ბაღები? არ აგებულა მავსოლეს ტაძარი ან თაჯმაჰალი? არ შექმნილა სერაფიტას მშვენიერება ან შორენასა და უტას სიყვარულის მისტერია?

ამ საოცრებებს მხოლოდ ისინი ქმნიან, რომლებიც შეშლილი პოეტების სულში სახლობენ და შეშლილი პოეტების თვალებით უყურებენ ნაცრისფერ დღეებს და, მათ გასალამაზებლად ქვეყნიერების შემოქმედს იმპერატივ-თხოვნას წაუყენებენ ხოლმე: –„ფერები, ფერები, მომეცი ფერები!..“ ხოლო ყრუ და დამუნჯებული სამყაროსთვის „ფერად მუსიკას“ გამოსთხოვენ.

იქნებ, შეშლილები და სამყაროდამსხვრეულები უკეთ ხედავენ და უკეთ აღიქვამენ ყოველდღიურობის უბადრუკობით დაფარული სამყაროს იქით მიმალულ მშვენიერებასა და ღვთაებრივ სიმფონიას?

მართლაც, „შეშლილი“ უნდა იყო, ცრემლი სიტყვებად აქციო და მისით გამოხატო ის, რისი გამოხატ-

ვაც არც გულს და არც სულს ძალუძს. ამგვარი რამ, მხოლოდ უფლის რჩეულთ და უფლისგან ხელ-დასხმულთ შეუძლიათ, თუმცა შემოქმედი ადამიანის ცხოვრება სამყაროსავით უსაზღვრო და სამყაროზე უმძიმესია; პირქუში, ნაღვლიანი, თანაც ნათელი და ხალისიანი, მშვენიერი და ლამაზი თავისი ტრაგი-ზმით თუ კომიზმით, ლირიზმით თუ ელეგიზმით, მით უფრო, თუ ეს შემოქმედი პოეტესაა, – ქალბა-ტონია, – რომლის სენსიბელური რეცეპტორები უფ-რო გამძაფრებულია, ვიდრე შემოქმედ მამაკაცთა.

„*ქალი ვარ...*“ – ასე ჰქვია ქალბატონ შორენა შორე-ულის (ზაქრაძის) პოეტურ კრებულს და ამგვარი არ-ჩევანი სახელწოდებისა, ვფიქრობ, უფრო მეტაფორუ-ლი და ღრმა შინაარსის მატარებელი უნდა იყოს, ვიდრე უბრალო ხაზგასმა ავტორის ფიზიოლოგი-იური სტატუსისა. დიახ, იგი ქალია – დიდი დედა, კიბელე, სამყაროსთან გაიგივებული ოჯახის, კერიის დიასახლისი, რომელსაც წესრიგში მოჰყავს თვით ამ სამყაროული – მამაკაცური, – ენტროპიული საწყისი და რომელიც სიყვარულით ამაგრებს, ჰარმონიით ამყარებს მას, რათა მის თვალშეუდგამ წიაღში, მის დაურღვეველ სიჩუმეში სიცოცხლის სხივი შეიტანოს. ეს ის დუმილია და სიჩუმე, სადაც უფლის უთქმელი სიტყვა ხმაურობს, სადაც მშვენიერება გაყურსულა. თუ მიქელანჯელო ქვაში მსუფევ ღმერთს უსმენდა, ჩვენი პოეტი ქალბატონი სიჩუმით აჩქამებულ მარ-ტოსულ მშვენიერებასაა მიყურადებული. მიქელანჯე-ლოს ლოდიდან პიეტა იშვა, შორენა შორეულის სი-ჩუმიდან კი ხელახლა იბადება ღვთაებრივი სილამა-

ზის სერაფიტა. და მთელი ეს საკრალური და მისტერიული პროცესი მიედინება მარტივად, უბრალოდ, უჩქამოდ და უხმაუროდ. ეს არ არის რაიმე ვულკანის ამოხეთქვის მსგავსი არ არის და არც ისეთი რამ, რომლის გრგვინვასაც ყველა გაიგონებს. ამიტომ მრავალთათვის ეს უბრალო და უმტკივნეულოა, თუმცა ყველაზე მტკივნეული, სწორედ, ის არის, რაც მხოლოდ შენ გესმის. აქ არ არის გონების ან გრძნობების შეპუდრვა. ეს ხალასი, თვითნაბადი რეალობაა, რომლისკენ მიმავალი ყველა გზა გოლგოთაზე გადის და გზად შომომხვდარი ყოველი ელეონი მხოლოდ ფანტომია და მირაჟი დარდის, კაეშნისა და ტკივილთა უდაბნოში.

საოცარი გრძნობა, რომელსაც ლეთარგიიდან გამოვყავართ და, თითქოს, მხოლოდ იმისთვის გამოვყავართ, რათა უხეშ რეალობას და აბსურდის კედლებს შეგვახეთქოს. განა ეს ონტოლოგიური პარადოქსი არ არის? მაგრამ რომ არა პარადოქსულობა, იარსებებდა კი სამყარო თავისთავად?

ჩვენი სამყარო, ჩვენი სინამდვილე აფორიაქებულია ამ აბსურდით და თუ ავუჯანყდებით მას – დავამარცხებთ. ადამიანები ამ დამარცხებას ვერ ურიგდებიან და ჭკუიდან იშლებიან:

გზას უნაპიროს,
რად აპირებ ჩაუყვე მარტო...
ამ შეშლილ ტალღებს
აულოკავთ შენი ღიმილი...
საით მიდიხარ.? –
იქნებ მითხრა და განმიმარტო, –
ასე შეშლილი, მარტოსული,
და არეული...
ვხედავ,
ჩემს სულსაც
გაუქროლეს სხვა ქარიშხლებმა,
სიგიჟე მახრჩობს
და საკინძე უნდა გავიხსნა...
ო, რაღა ახლა...

ღამე მოდის,
ზეცა შავდება,
თუ სულს მოვითქვამ,
სიყვარული უნდა აგიხსნა.

მართლაც, რომ არა ხელოვნება, რომ არა ამგვარი პოეზია, სინამდვილე მოგვკლავდა, მაგრამ ერთადერთი, რაც სიკვდილზე მძლეობს სიყვარულია! და რა არის თვით სიყვარული? მომაჯადოებელი ყვავილი ხომ არა, ზედ უფსკრულის პირას რომ ხარობს? დიდი სტენდალიც, სწორედ, ამგვარად ფიქრობდა: „**სიყვარული მომაჯადოებელი ყვავილია, მაგრამ საჭიროა დიდი გამბედაობა, რომ მიხვიდე და მოწყვიტო იგი უფსკრულის კიდეზე**“.

შორენა შორეულიც ის ხელოვანია, ვისაც ძალუძს უფსკრულის კიდეზე სიარული, ვისი პოეტური სულიც მოვლენთა ჰორიზონტზე წარმართულ, მავანთათვის გაუგებარ და აუხსნელ, ძრწოლის მომგვრელ რეალიებში, სადაც გაურკვეველია დრო, გაურკვეველია, **იწყება თუ სრულდება მოვლენა,** – სრულიად მშვიდად იტყვის:

ახლა რომელი საათია? აღარც ვიცი, რაღაც იწყება
თუ სრულდება...
ამ გზაარეულ სიმარტოვესთან... ყველა ძახილზე მე
ვდგავარ მარტო...

ეს ის ზღურბლია, რომელიც ერთდროულად ატარებს გასასვლელისა და შესასვლელის სტატუსს, სადაც გადის სუბსტანციათა არსაცნაური ზღვარი. ეს ხიდია ათვლის სისტემათა შორის, სადაც „**უცნაურობს განცდა**“ და შესაძლოა, ყოველ წამს „**აგიჯანყდეს სიტყვა**“. აქ არ არსებობს მიჯნა, გამოკვეთილი ზღვარი სივრცეთა, ანდა ინტერვალები თანამიმდევრულ მოვლენათა შორის. აქ ერთიანი და მთლიანია

სივრცე და დრო, აქ კონტინიუმურად თანაარსებობს მოკვდავთაგან დაყოფილი, დაჩეხილი დრო წარსულად, აწმყოდ და მომავლად. აქ ერთდროულია რაღაც კონკრეტული ყოფიერება და ამ ყოფიერების იგივეობრივი არსებობის მარადიული შესაძლებლობა, სადაც –

მელოდია სულის ცისფერ მუსიკის
შენ კი არა,
მთელ სამყაროს შეშლის...

ამ **„შეშლილ“** სამყაროში ვიღაც სიჩუმის ყვირილით შეძრავს დუმილს, ვიღაც ახალ აბსურდულ თამაშს იწყებს ბედის გამრიგესთან, **„იბრძვის და... და დაცემა სულაც არ აშინებს“...** რადგან აქ არ არის **„ზევით“** თუ „**ქვევით“, „მარჯვნივ“** თუ **„მარცხნივ“** და, საერთოდ, ამ საკრალურ ტოპოგრაფიას სულაც არ გააჩნია მხარეები; ვერ არკვევ, **„ვინ ვისთვის ან რისთვის ამზადებს უსაზღვრო დარდსა და ტირილებს“,** არ იცი, ვინ ვისი ტირილით ტირის, ვინ ვისი თვალებით იმზირება. ამგვარი სინამდვილე, მიწიური განზომილებით, თავბრუდამხვევიცაა და თავზარდამცემიც, მაგრამ...

ნუ დათმობ ღიმილს!..

ეს ღიმილი დაანახე სამყაროს, დაანახე ცრემლებად გამოხატული სიტყვებით, როგორც ამას პოეტი შორენა შორეული ახერხებს.

და...

კითხულობ მის ლამაზ პოეზიას... თითქოს, მისი სული ჯადოსნური ფლეიტაა, სადაც გამომწყვდეულა დიდი და იდუმალი მუსიკა, მუსიკა, რომელიც

თვლემს, ვიდრე თითებს და ბაგეთ შეახებდე... მაგრამ... გრძნობ, სადღაც იქაა, იქ, სულის წმიდა სიღრმეებში და ელოდება შესაფერის წამს, რათა აენთოს, გამოიხატოს, კოსმიურ სიმფონიად, სირინოზის სიმღერებად იქცეს და ტერფსიქორად გარდაისახოს. ეს სიყვარულის დაბადებაა. უსიყვარულო ადამიანი კი ვერასოდეს შეიცნობს თუ როგორ მუსიკას ატარებდა მისი სული... იარე სიყვარულით, ჩაიძირე მასში, განაგრძე გზა მის სიღრმეებში და შეუმჩნევლად შეხვალ იმ საკრალურ დარბაზში, სადაც შენი სულის მისტერიული სიმფონია სრულდება. იქ აღმოაჩენ სხვა დიდ სინამდვილეს, რომელიც არაფრით ჰგავს ამ ღატაკ და უსახურ რეალობას. გახსოვდეს, მხოლოდ **„კაცთა და ანგელოსთა ენებზეც რომ ვმეტყველებდე, სიყვარული თუ არ მაქვს, მხოლოდ რვალი ვარ მოჟღრიალე, მხოლოდ წკრიალა წინწილა.**

წინასწარმეტყველების მადლი რომ მქონდეს, ვიცოდე ყველა საოდუმლო, და მქონდეს მთელი რწმენა ისე, რომ მთების დაძვრაც შემეძლოს, სიყვარული თუ არ მაქვს, არარა ვარ...“ (*პავლე, პირველი კორინთელთა, 13:1-2)*

რედაქტორისაგან

***

არ ვიცი გუშინ როგორ დაღამდა...
მე არც ის ვიცი გათენდა როგორ...
ერთგულების ძაღლს ვიღაც აბამდა, ვიღაც
თელავდა დავარდნილ ფოთოლს...
წუხელ, მე მგონი, მთვარეც ატირდა...
და ვარსკვლავებიც ისხდნენ მდუმარედ,
სტრიქონს ვშლი... მერე ვიწყებ თავიდან...
ბედს... კამათელი გადავუყარე...
ვდგავარ დაღლილი არეულ ქარში,
ატმის ყვავილზე სული მდუმარებს...
ვერ გავიზარდე... ეჰ, ისევ ბავშვი,
(ღმერთი, რას ვბოდავ... გადავიღალე...)
თენდება... მაგრამ ბნელა რატომღაც, ცისკრის
ვარსკვლავიც აღარ ანათებს,
მთვარემ ღრუბლებში მორცხვად შეტოპა...
არ ვუღალატე... მე მიღალატეს.
სული ჩაუკრავს ატმის ყვავილებს,
ჩასძინებია ატმის მკლავებზე...
დავალ უშენო და... უარაფრო...
აღარც ის ვიცი... უკვე რას ვეძებ.
წუხელ... მე მგონი მთვარეც ატირდა,
და ვარსკვლავებიც ისხდნენ მდუმარედ...
სტრიქონს ვშლი... მერე ვიწყებ თავიდან,
ბედს კამათელი გადავუყარე.

ქალი ვარ და...

ქალი ვარ...
განა ნიავი ვარ...
ადგე ალიონზე, ხარბად ჩამისუნთქო...
ქალი ვარ...
განა მორცხვი მზის სხივი ვარ,
გულში უშიშრად რომ ჩამიხუტო.
ქალი ვარ...
სევდისფერი იასამნებით...
ნეტავ შენი სულის ვიქცე იასამნად,
ანცი ქარი ვიყო... გაშლილ დალალებით...
სულზე მოგედები მზისფერ ნიავ-ქარად.
ქალი ვარ...
განა შვიდფერი ცისარტყელა...
გზები მოგოჩითო ფერადი ყვავილებით...
ბილიკს, ეკალ-ნარის... .ჩოქვით გადავთელავ...
შენამდე სავალ გზით მე არ დავიღლები.
ქალი ვარ...
განა იისფერი თოვლი...
წამწამს მოგედო და ცრემლად დაგეღვარო,
ქალი ვარ და... .რა ვქნა,
ვერსად ვპოვე სწორი...
გზას მე გამოვყვები...
შენ არ დამეღალო.
ქალი ვარ და... რა ვქნა,
თასი მაინც ვიყო...
ბოლო სადღეგრძელოდ ტუჩზე დაგეცალო,
ძველი ტივი ვიყო...

შავ ზღვამ გამომრიყოს...
ნაპირზე მიპოვო და...
არა... .არ გამცვალო.
ქალი ვარ...
განა მარტის აშარება... მაისის აფეთქება...
ვარდებად აგიყვავდე,
ზამთარ-გაზაფხულის თეთრი აჯანყება...
ხანაც გიყვარდე და...
ხანაც არ გიყვარდე.
მინდა ფიქრი ვიყო ღრუბლებში ავარდნილი...
თუნდაც... ალი-ქალი... შეყრილი გზათა...
ნეტავ ხატი ვიყო...
მხოლოდ შენთვის ქმნილი...
მაგრამ... .ქალი ვარ და... რა ვქნა.

* * *

შენ რომ სევდა ჩამიბნიე თმებში...
ქარი ქროდა იმ თებერვლის ღამეს,
ნიამორი... გადავეშვი ხევში...
უჩემობით, ვიცი, გადაგღალე.
მაგრამ არა... მე არ გტოვებ მარტო,
ბროწეულებს უკიდიათ ცეცხლი,
სიკვდილიდან დღეს სიცოცხლეს ვნატრობ...
ჩემო ყველავ... შენთვის, მხოლოდ შენთვის.
ჩვენ გაგვყარა ბედისწერამ ასე,
მიწიერი, მხოლოდ სიზმრად მხედავ...
უჩემობა სინანულით გავსებს,

მე კი ჩუმად მოგეფერო, ვბედავ.
წვიმად მოვალ... დაგისველებ ღაწვებს,
დილის სიოდ მოგეხვევი ყელზე,
ისევ დავწერ ამ უფერო ფრაზებს...
გვირილებად დაგეყრები მკერდზე.
შენ ვერ მხედავ... მე არ გტოვებ წამით,
ცრემლს გიშრობ და ბაგეს ვაფენ ღიმილს,
დამიჯერე... მე არა ვარ მკვდარი,
მარტოდ მდგარი... ტირიფიც კი ტირის.
მაგრამ არა... შენ არა ხარ მარტო...
გაგებედა... იქნებ რამე გეთქვა...
დაგიტოვე ჩემი გული ახლოს,
ჩემი გული... შენს მკერდში რომ ფეთქავს.

სულს შემოენატრეთ...

სული აწყდება ჩაკეტილ დარაბებს...
მინდოდა... მინდოდა... მეც სხვა გზით მევლო...
ცხრა აკვანს არწევდი... და ზრდიდი ვაჯკაცებს,
უფალმა იცოდა რაისთვის, ელო.
ნოსტელო ჭაბუკო, სულს შემოენატრე,
პაატას გაყინულ ღიმილსაც ვხედავ,
და მაინც... ვიზრდებით... ვმზევდებით ყველა დღე,
და მაინც... როდემდე, როდემდე ნეტავ?!
ჰე, ბერო თევდორევ... შენს სისხლს დავიფიცებ...
თრიალეთის ტყეში მზის სხივად გხედავ,
ჩვენთან ხარ... ახლოს ხარ... დღითი დღე... დღითი დღე,
სული შეგიშფოთო მამაო, ვბედავ.
როგორ არ გაწამეს... დაგწვეს და დაგდაღეს...

მამულის სახელი აქციე ვედრებად...
შირაზის ვარდებმაც კი თავი დახარეს,
ქედმოუხრელო და... ამაყო ქეთევან.
წარსულში დავეძებ... და ცრემლით მოვიხმობ
ცოტნეს და არაგველთ... პაატას, მაიას...
ქართულად ვიბრძოდით... ქართულად ვუძლებდით...
დღეს ამ ქართველობის დამდგარა ჟამია.
ყაყაჩოს პერანგით რამდეჯერ გვივლია...
კვლავ ვხედავ... დაზრდილან ლეკვები მგლისანი...
ბაზალეთს რა ვუყო... წლებიც კი ტირიან,
და მტკივა... ძვლებამდე ჩასული ისარი.

* * *

შვლის ნუკრს ვეძებ...
მოჩითულა სევდისფერი კაბით...
უცნაურად ჭირვეული... დამეკარგა სადღაც.
ყელზე ფიქრი მოჰკონვია ღრუბლისფერი ბაფთით...
დავეძებ და... ვერსად ვპოვე... სულ ამებნა თავ-გზა.
იქნებ ვინმემ მაპოვნინოთ...
გთხოვთ მოისხათ მადლი,
შევისვენე...
კარგი ერთი... რა დროსია დაღლა,
თიბათვეშიცც ბილიკებზე იისფერად ბარდნის...
თავქვე დავყვე?!
იქნებ აღმა...
აღარ ვიცი რა ვქნა...
არა და არ მოისვენა,
ნისლის კაბას ხევდა...

რაღაც უცხოს დაეძებდა...
თითქოს ჯერარყოფილს,
იქნებ მთაში გამექცა და... შეერია რემას,
სად ვეძებო... შემეშველეთ,
ძალა აღარ მყოფნის.
ჩემი ნუკრი... მოჩითული სევდისფერი კაბით...
ხანაც ჩუმი... ხან სიჩუმით უღვთოდ დაზაფრული...
ნუშისთვალა... ყელმაღალი... მოხატული კალმით...
სადღაც ნუკრი დამეკარგა...
ნუკრი...
ჩ ე მ ი ს უ ლ ი.

მარიტა...

შენს ღიმილს... შენს სევდას დავეძებ ყველა დღე,
გკარგავ და... შენს ძებნას კვლავ ვიწყებ თავიდან...
შენს გამო გედია როდემდე ღელავდეს...
მითხარი, მითხარი, მითხარი მარიტა...
თვალებში გიელავს ცისკარის ნათება,
უთქმელმა სიტყვებმა უთქმელად დაგათრო...
დღე მიდის... დღე მიდის... ღამდება... ღამდება...
გედია დაგეძებს... შენ... ნანინანატრო...
შეგრისხეს... ჩაგქოლეს... გაგკიცხეს ქალებმა,
და სული ფაქიზი... ტალახში ათრიეს...
(გიშველო?... რაღა დროს... ოჰ, დაგვიანებავ...)
ვაი... სიყვარული რომ არ გაპატიეს...
... და ფერხთით გათელეს მაისის ვარდები...
მოგკლეს და... სიკვდილით... სიკვდილით გაცოცხლეს...
შენს უთქმელ გრძნობებში მეც ჩავიკარგები,

ნეტავ ვინ შეუნდობს სამყაროს ამ ცოდვებს.
შენს ღიმილს... შენს სევდას დავეძებ ყველა დღე...
გკარგავ და... შენს ძებნას კვლავ ვიწყებ თავიდან...
შენს გამო გედია როდემდე ღელავდეს,
მითხარი... მითხარი... მითხარი, მარიტა...

* * *

დაღლილი მზე ჩემს სარკმელთან შეჩერდა,
სხივით მაჩნევს თეთრ ღაწვებზე კოცნებს,
გამიმხილა... თურმე ყველგან მეძებდა...
მე კი... მე კი... სული დავიმორცხვე.
სადღაც ახლოს შენი მზერა ჩასაფრდა,
მე კი... ვთომ არა გამიგია რა...
ეს ცაც ახლა მოიჩითა ათასფრად
და... ღრუბელმაც ცრემლით ჩამოიარა.
ეჰ, ავტირდი... .შენი მზერაც გამექცა,
ნატერფალი ჩანდა ველურ ჰამათა...
ღრუბლის ცრემლი უკვე ლოყას დაეცა...
და... ვიღაცამ მზის ამბორი წამართვა.

* * *

წლები ვაგროვე... სად არ ვიარე,
შენთან მოსვლა კი... დავაგვიანე...
გული დარდებით გავიტიალე,
მარტო ვერ ვუძლებ...
გ ა გ ი ზ ი ა რ ე...
ახლა შენს გულში ფიქრად ჩავსახლდდი,

... და ვერ შევძელი... მეთქვა: – ნახვამდის, –
ჰოდა, მოვედი... გაგითამამდი,
სულ შენ დაგეძებ... წამის წამამდი...
წლები გვაშორებს... .ვერ დაგვაშორეს,
ვერ მოერია დრო... ამ სიშორეს,
ყველგან თან გდევდი... ვერ მომიშორე...
გულთან ხარ ახლოს... .და... არა... შორე...
ჰოდა, მოვედი... ვერ მოვისვენე,
სადღაც... შენს ახლოს...
ჩ ა მ ო ვ ი ს ვ ე ნ ე...
ვიცი... რომ მოსვლა დავიგვიანე,
მარტო ვერ ვუძლებ...
გ ა გ ი ზ ი ა რ ე...

მ უ ზ ა

არა, ვერ მიგატოვე...
დღეებს შენით ვფურცლავ...
ღმერთი ისევ მადროვებს
მოგეფერო, მუზავ...
არა, არ მიგატოვე...
დღეს შენი ხმა მეცნო,
ლექსით უნდა გადავრჩე...
სიყვარული შევძლო.
სული ავამაისო...
სული... განაწირი,
პოეტურად ვხალისობ და...
პოეტურად ვტირი.
არა, არ მიგატოვე...

ნუ ქვითინებ მუზავ...
მომეხმარე... დავუშვა
სინანულის ღუზა...
ქარად იქეც... ეფერე
შხეფს... ტალღებზე აშლილს...
შენს წინ მუხლზე დავეშვი
უსუსური ბავშვი.
არა, არ მიგატოვე... .
მზე ღრუბლებში მოთქვამს...
ღალატს არ დამანებო...
სიყვარულმა მომკლას...
სული ავამაისო... სული... განაწირი,
პოეტურად ვიცინი და...
პოეტურად ვტირი.

ჯარჯი და დემეტრე დაიაურებს...

მე თქვენ ენძელებად გელით გაზაფხულზე,
ფერდობს მოეფინეთ ნაზამთრალი მთების,
უკვე მერამდენე ფიქრი გადავფურცლე...
ვერშეჩერებული... უსაშველო ცრემლით...
გელით ღიღილოდ და გელით ია-იად...
ყველგან მიმოფანტულს... მთა არის თუ ბარში...
სიკვდილთან შეხვედრაც თურმე იოლია,
ეს თქვენ დამანახეთ... დემეტრე და ჯარჯი.
რა ვუყოთ თუ ზოგჯერ ბედი ავდრიანობს...
და სვლა შენელდება ცეცხლოვანი რაშის,
იქ... ზეცად ანგელოზის ფრთებით დაჰქრიანო...
წუხელ სიზმრად ვნახე დემეტრე და ჯარჯი.

* * *

ვფიქრობ... ამდენი სათქმელი რა მაქვს
ან ეს სიტყვები რად ვერ დავლიე...
ან მონატრება სიგიჟეს რად ჰგავს...
ან სიყვარული რად გადავრიე...

თავაწყვეტილი ირმების ჯოგმა
ჩამომიქროლა... მყვირალობის ჟამს,
დავიგვიანე... და ხომ არ ჯობდა,
ავდევნებოდი მერემედ მათ გზას.

გადავიკარგო ირმებთან ერთად...
ამორძალივით შევეკრა ნისლებს...
აღარ შეგაკრთობს ამ გულის ფეთქვა...
ვერც მწყურვალს... სურას ვეღარ აგივსებ.

მერე კი... უნდა... უნდა ვეწამო,
როგორ გავუძლო უშენოდ ქარებს...
ახლა ეს სიტყვა... ისევე წვალობს,
როგორც ღრუბლებში მცოცავი მთვარე...

ვფიქრობ... ამდენი სათქმელი რა მაქვს...
ან... ეს სიტყვები რად ვერ დავლიე...

* * *

მარცვალ-მარცვალ ამოკინძულ სტრიქონს
შენთვის ვწერ და... მერე ვფანტავ ქარში...
ყველაფერი იყო... და არც იყო...
ღამე, ალბათ, შავ დალალებს გაშლის.

ჩამოვივლი შენი ქუჩის პირას,
და... მოვიხმობ გადაფრენილ სტრიქონს,
თან ღრუბლებში გამოსხლეტილ მთვარეს
მოვუყვები... .თუმც ნეტავ რა იყო?!

მერე ღამეს გამოვტყუებ წამებს,
მერე, ალბათ... სიტყვას გეტყვი ალალს...
თვალს ჩამიკრავს ჭორიკანა მთვარე,
მე კი... მე კი ჩამოვუწნავ დალალს.

ფერები

მომეცი... მომეცი ფერადი მუსიკა,
იქნება სულს ჩაწვდეს... იქნება გამათბოს,
თორემ სინანული შენამდე რომ მოვა
რაღა დროს... რაღა დროს... რაღა დროს...
მომეცი, მომეცი, ო, თუნდაც ურითმო...
დაღლილი, დაღლილი, დაღლილი სიტყვები,
როდემდე... ცრემლები როდემდე ვამღერო,
გედიც კი გაოცდა... მე რომ არ ვიღლები.
მომეცი უფლება (ამას კი რა უნდა),
წავიდე... დაგტოვო... გამიშვი ხელები...
სიჩუმე, სიჩუმე, სიჩუმე დადუმდა,
ყვირილი აყვირდა უფერო დღეებით.
ჩემი ატირება არც ისე ძნელია...
აკრიფე, აკრიფე პეშვებით ცრემლები,
წადი იქ... წავალ იქ... სადაც არ გველიან...
ფერები, ფერები, მომეცი ფერები.
მომეცი ფერები... უკან დამიბრუნე,

დამღალა შავ-თეთრი კადრების ქირქილმა...
ასე გაოცებით ნეტავ რად მიყურებ...
ღამეში დაკარგულმა ტკივილმა იკივლა.
უკან დამიბრუნე ჩემი სიმარტოვე,
(როგორ დავიჯერე, რომ მარტო არ ვიყავ)
ფერები დამიბრუნე... წადი... მიმატოვე...
შეშლილი პოეტის თვალებში ვსახლობ.
ამ თვალებს, ჭკვიან და... გიჟ თვალებს ჩახედე
წასვლისას (გაგიწყრეს ღმერთი... ვერც ამჩნევ),
გიჯობდეს გაქვავდე, გალოდდე, გახევდე...
მზერა შეაგებო წვიმიან ფანჯრებს.
ვიდრე დაინახავ პოეტის თვალებში...
შეშლილი, ჭკვიანი, მარტივი, რთული...
ახლა იქ ბინადრობს... (მამშვიდებ?!... შემეშვი)
ეს ჩემი დაღლილი... დაღლილი სული.
ჩემი ატირება არც ისე ძნელია...
აკრიფე, წაიღე პეშვებით ცრემლები,
წადი იქ... წადი იქ... სადაც არ გელიან...
ფერები დამიბრუნე... ის ნაზი ფერები.

* * *

ახლა ღამეული სიჩუმე
სულში ახმაურებს ყველა სიმს,
მოდი... სანამ დროა ისურვე,
სანამ სიმარტოვე გადაგღლის...
მოდი... სანამ წარსულს ანათებს
ჯერაც ჩაუმქრალი სანთელი,
სანამ ოცნებები ფარფატებს...

სანამ უჩემობით დათვერი.
ახლა შენზე დარდი თარეშობს,
ვიცი... სევდად გამიბევრდები...
თორემ მე რა მომკლავს... არც რაი...
მთვრალი ალუბლების ფერებით.

შენ ახლა ჩემი მიჯნური ხარ

მე არა მითქვამს შენთვის, რატომ შემოგეხიზნე,
აბა, რა გითხრა... თვით ხიზანმაც არ იცის როცა...
არ დაგილაშქრავს შენ ჩემს გამო ქაჯეთის ციხე,
არც მუხლმოყრილი შეხვედრიხარ აისის ლოცვას...
შენ ეს მაისი... კიდევ უფრო ამიმაისე,
თუმც არ დაგვიდგამს გვირგვინები, შეკრული
ფიცით...
რისთვის გვესროდა უმოწყალოდ ამური ისრებს,
შენ ახლა ჩემი მიჯნური ხარ... მარტო ეს ვიცი.

* * *

იყო ამ შეხვედრაში უცნაური წამი...
ღამეული ჩვენება... გაჰყვა მთვარის ბილიკებს...
თურმე გზად შემხვედრია... სიყვარული მთვრალი.
გავუყევი ბნელ ქუჩას... ისევ ვითვლი ფურცლებს...
მენატრება ის ერთი... მთვარეს ვანდობ მარტო...
უჩვეულო ღამეში რატომ ვპოვე სიმშვიდე...
თვალზე ცრემლის ნამები... დამეფინა რატომ?!...

სერაფიტა...

ძოწისფრად ალეწილხარ... ქალო, მარტოსულო...
თვალებში ჩაგდგომია სიმშვიდის გაოცება,
ფრესკის წინ დამდგარი... ცრემლებით
ლოცულობ...
ეგ შენი ღიმილი დარდმა რად მოცელა.
გიმზერ და... მგონია სამყარო ბობოქრობს...
და შენი სინაზეც ქარს მიაქვს აფრებად,
ო, ღმერთო... მაისში როგორ თოვს, როგორ
თოვს...
დღეს შენი სურნელით სიფხიზლეც დათვრება.
სიჩუმით ხმაურობ... ქალო, მარტოსულო...
ამაყად დაივლი მდუმარე ვერანდებს... .
ჰეი, სერაფიტა, ზევახის ასულო...
რატომღაც დღეს ჩემს სულს... შენ
შ ე მ ო ე ნ ა ტ რ ე. . .

* * *

ერთი პატარა ნაკადული ვარ...
ჩამომდინარე შენს ნატერფალთან...
სიყვარულს, ალბათ, თვითონ ვწყურივარ,
დაჩოქილოყო გუშინ ჩემს კართან...
გამშორდი-მეთქი... ურცხვად შევძახე,
გადაიარა მაისის თქეშმა,
მან... .ხელებს შუა ჩამალა სახე,
უძლური ვიყავ... რამე არ მეთქვა.
ჩემს სარეცელთან ჩამოისვენა... .

და... დიდხანს, დიდხანს... მოთქმით ტიროდა,
აგიწვიმეო ბევრი დარები...
ნუ დამტოვებო... შემომჩიოდა.
უარყოფილი მეწვია სტუმრად,
ისევ და ისევ... მასთან მეძახის...
მე კი ვუსმენ და... ჯიუტად ვდუმვარ,
არც მას ესმოდა... მე რომ ვეძახდი...
ეს რა ცივ ლოდად გადავიქეცი...
თეთრი ვარდები ფერხთით მეყარა,
მე რომ სიყვარულს გამოვექეცი...
ამედევნა და... გზად შემეყარა.

* * *

ნაღვლიანად აჩურჩულდა ქარი,
სულში თეთრი ზამბახები თოვდა...
გარიჟრაჟზე შემომიღო კარი,
არეული... თითქოს რამეს მთხოვდა.

სარეცელზე ჩამომიჯდა უხმოდ...
ნაზი სუნთქვით მეფერება თმებში,
ახლა უნდა... მეც სიმშვიდეს ვუხმო...
თორემ ქარის დარდი... ალბათ შემშლის.

სად გავექცე... დავემალო როგორ...
მხრებზე ვისხამ მე ატლასის პერანგს,
აღარა ვარ ის პატარა გოგო...
და ვერ შევძლებ, ქარო, მე შენს შველას.

წადი... წადი... და დამტოვე მარტო,
რად მინდოდა ახლა დარდი ქარის...

მე ისედაც სევდის ბაღში ვსახლობ,
უკვე მქვია დარდისფერი ქალი...

წადი ქარო... არ მეშვება მაინც...
თმებში ცურავს... მიშრიალებს პერანგს,
ვდგავარ ასე... ვით მხევალი ღამის...
თვალებში კი... მონატრება ელავს.

მისმინეო... ამოიდგა ენა...
აჩურჩულა ღრუბლისფერი ქნარი...
სულერთია... მაინც აღარ მჯერა...
და... ატირდა... ჩემს მუხლებთან ქარი...

* * *

გზას უნაპიროს,
რად აპირებ ჩაუყვე მარტო...
ამ შეშლილ ტალღებს
აულოკავთ შენი ღიმილი...
საით მიდიხარ.? –
იქნებ მითხრა და განმიმარტო, –
ასე შეშლილი, მარტოსული,
და არეული...
ვხედავ,
ჩემს სულსაც
გაუქროლეს სხვა ქარიშხლებმა,
სიგიჟე მახრჩობს
და საკინძე უნდა გავიხსნა...
ო, რაღა ახლა...

ღამე მოდის,
ზეცა შავდება,
თუ სულს მოვითქვამ,
სიყვარული უნდა აგიხსნა.

* * *

ამ ერთხელ მოგწერ... და გავაგდებ ხელიდან კალამს...
ჰო... ერთხელ კიდევ შენ მოგიძღვნი გულის
ნაბოდვარს...
ჩამოეკიდა ცის კიდეზე მთვარე ნამგალა,
და ამ ღამესაც უცნაური კვნესა აღმოხდა.

ამ ერთხელ მოგწერ... მხოლოდ ამ ერთს...
ნანინანატრო,
განთიადამდე რომ ისმინო სიმღერა გედის...
გულო ნუ ბორგავ... მათქმევინე... არ მიღალატო...
დროზე თქვი რამე... არ გაგიწყრეს, ბეჩავო, ღმერთი.

ამ ერთხელ მოგწერ... თუმცა არა... გადავიფიქრე...
ახლა ცრემლები ეფერება... უფერო ღაწვებს,
ქარში გავაბნევ... ამ სტრიქონებს... ჩემეულ სიტყვებს...
მოვა მაისი და... უთუოდ რაიმეს დავწერ...

* * *

სველი ქვიშა... მშრალი თვალი...
სული სველზე სველი...
ტალღებს მიაქვთ ჩემი ქნარი,
ცრემლი... ცრემლი... ცრემლი...
დაისის მზე კეცავს დალალს,
ქალი... ზღვა და... ქვიშა...
მერე რა რომ დაიღალა,
ამბობს: არა მიშავს...
ცაო, რატომ ამიტირდი...
ლურჯ ოცნებას ჰგავდი,
დღეებს შენთან ერთად ვშლიდი...
დარდი... დარდი... დარდი...
ვეძებ... ვეძებ... ვპოულობ და
მერე ისევ ვკარგავ...
ზღვის ცრემლებით დამისველდა
ჩემი თეთრი კაბა.
მივდივარ და... მაინც ვრჩები,
მზერა დაზაფრული,
ვარსკვლავებმაც ჭორაობით
ვერ იჯერეს გული...
სველი ქვიშა... ზღვის ცრემლებით
გალუმპული კაბა,
არ მსურს, ნუღარ მეფერები...
ფიქრიც დამეკარგა...
მზე ჩასული... ზღვის ხმაური...
წვიმაც თქეშით მოდის...
სველი კაბა... ქალის სული
შეჩვეული ლოდინს.

* * *

„სიყვარულიო... არ არიო მეფეთა ნება“,
მოგივარდება ქარიშხლად და... ნიავად გაქცევს,
ფრთებსაც შეგასხამს... ნუ გგონია გასწავლის ფრენას,
რამდენს ინდომებ... იმდეჯერვე მიწაზე დაგცემს.
არ შეგიბრალებს... და ვერც ცრემლით დაულბობ
ღიმილს...
აშარია და... შემოგახვევს გულს გლოვის ძაძებს,
რა უგულოა... როგორ იგრძნობს, ნეტავ შენს
ტკივილს...
თავ-გზას აგიბნევს... გაწყევლინებს ყველა დღე გამჩენს...
მთვარეულივით მოგატარებს თბილისის ქუჩებს...
თხელი პერანგით... არეულხარ... უგონოდ მთვრალი,
ფითრი ედება სიმწრისაგან დაკვნეტილ ტუჩებს...
დაივიწყეო... ჩაგჩურჩულებს მთაწმინდის ქარი,
და... მაინც არ თმობ... მაინც მისით ამღერებ წამებს,
მუხლჩაჩოქილი... მამადავითს აგებებ მზერას,
დაიფარეო, ვინც მიყვარსო, თიბათვის ღამევ...
და... რაც არ გინდა დაიჯერო... მაინც არ გჯერა.

შემოცრეცია ცისკრის ვარსკვლავს ფერთა ფარჩები...
მასზე ლოცულობ... გაწყევლინა რამაც გამჩენი.

ჩემო საქართველო...

შენ თუ მოგენატრე... მე რაღა ვთქვა,
უკვე მერამდენე ღამე გავათენო,
ფიქრმა მოთმინება სულ წამართვა,
უნდა დამიჯერო... ჩემო საქართველოვ...
როგორ მოგეფერო... სიტყვას ვეძებ,
უშენოდ სახელიც კი არ სახელობს...
შენი სიყვარული სულში გამოვძერწე...
უნდა დამიჯერო... ჩემო საქართველოვ...
შენი ცისქვეშეთი სხვანაირად ყვავის...
ზურმუხტისფერია ჩემი მთა და მდელო...
ძველი კორინთოდან სული შემოგზღავის... .
უნდა დამიჯერო... ჩემო საქართველოვ...
კოლხი ქალის ცრემლში... ჩემიც აირია...
უშენობის ღამე... თეთრად გავათენო...
დღეს სიცხადე გიხმობს... მითი გაილია...
უნდა დამიჯერო... ჩემო საქართველოვ...
შენ თუ მოგენატრე... მე რაღა ვთქვა...
ჩემო სულამაყო... დარდისფერო...
აქ მზეც შენეულად არ განათდა...
უნდა დამიჯერო... ჩემო საქართველოვ...
უხეირო ლექსით მინდა მოგეხვიო...
სხვა რა შემიძლია... სულში ჩასაფრენო...
მინდა შენზე სიზმარს ყოველ ღამით ვდიო...
უნდა დამიჯერო... ჩემო საქართველოვ...

გალაკტიონს

ამეკვიატა დღეს შენზე ფიქრი,
ფიქრი კი არა... რითმის თქეშია...
დროს ახლა მართლა ვერ გადავითვლი,
რაც ვერ მოვიმკე... არც მითესია.
ჯანიმც გავარდეს... მიწაზე მდგომი...
კი არ დავდივარ... ფრთები მაქვს თითქოს,
არც შემრისხველი... არც თანამდგომი...
სული კი ცისფერ ფანტელებს ითხოვს.
შენ... „შეწირული ლირიკოსი ხარ“,
მეფე... პოეტი... და ვინმე მწირი...
მთვრალი სიო რომ იქცა ქარიშხლად...
ლექსით ეძებდი ბედგანაწირი.
და არ შობილა შენს მერე... .არა...
არც მთვარე წყნარი, არც მზის ვედრება...
ვწერ და... სტრიქონი გადამეღალა,
და, ალბათ, ძალაც გამომეცალა...
ვაი, ჩემს პატრონს... გაგესაუბრე...
ფშანის პირს იწვა ჩუმი რიონი,
ჩაკეტილ რითმას კარი გავუღე...
პოეტი... მეფე... გალაკტიონი!..

ამეკვიატა დღეს შენზე ფიქრი...
ფიქრი კი არა... რითმის თქეშია,
და თუ... მე მაინც ვერაფერს ვიტყვი,
მთვარედ ვიქცევი... თეთრ ღამეშია.

ვიღაც გამანდობს გულის ხვაშიადს...
კვლავ მოვა ვინმე... რითმით დამთვრალი...

გაიღიმილებს ჩემთან ხასიათს...
ხან ბედს მიმნდობი... ხანაც გამწყრალი...

და მე... ღამეულ სილაჟვარდეში...
კვლავაც ვიხილავ ამღვრეულ თვალებს,
იტყვი... ო, ამ თეთრ... ამ თეთრ ღამეში...
არ შობილაო ჯერ მსგავსი მთვარე.

რად ამიჯანყდა დღეს სული... ვფიქრობ...
კი არ დავდივარ... ფრთები მაქვს თითქოს...

* * *

„აქაც ვიცით, ქალბატონო, ლექსის ფასი“...
აქ მოგართმევთ გაზაფხულზე ია-იებს...
ნურსად წახვალ... ნუ იქნები ასე მკაცრი,
რითმას ებრძვი?! მოდი და ... აქ გადარიე.
ნუ, ნუ მიწყენთ... ქალბატონო, სითამამეს...
იმას რომ დღეს... დათოვლილი შეგამჩნიეთ,
მგონია რომ ბავშვობიდან გითვალთვალებთ...
მაგრამ მზერა დროში ნელა შეგაჩვიეთ.
„აქაც ვიცით, ქალბატონო, ლექსის ფასი“...
არ წახვიდეთ... თორემ მართლა დავღონდები,
ლალის ღვინით მოლივლივე თქვენ ხართ თასი,
გიცქერდით და... .გაზაფხულებს მაგონებდით...
უცნაურად ამამღერეთ ქალბატონო...
დაკარგული... კვლავ გიპოვეთ სტრიქონებში,
ჰოდა, ახლა მართლა აღარ დამაღონოთ...
ლექსად იშვი... ქარიშხალად... ახლა ჩემში.

„აქაც ვიცით, ქალბატონო ლექსის ფასი“...
გზააბნეულს... ფორიაქავ... გიპატრონებთ...
ნურსად წახვალთ... ნუ იქნებით ასე მკაცრი...
მიყვარხართ და... მარტოდ-მარტო ნუ დამტოვებთ...
. . . . . .
მოვიხედე... თვალებს ვმალავ... ნამტირალევს...
მე ამ სითბომ სიყვარულის ბანგი მასვა...
გაზაფხულად ვიქცევი და... .ამიტანეთ...
არ ვაპირებ არსად წასვლას.

* * *

ყველა ვერ გაიგებს
რა გულით დადიხარ...
სულში უთეთრესი
ფიფქები გათოვს,
ვიღაცას ჭირდები...
ვიღაცას აკლიხარ...
და ამ სიმუქეში
არა ხარ მარტო...
სული რად გიბორგავს,
რა ვერ გიპოვია...
დადიხარ... ვითარცა
ოდესღაც ვნებული...
წამიკითხავს და...
დარდად ამყოლია,
„უბედურიაო ქალი...
გულით განსხვავებული“.

და მაინც, და მაინც არა ხარ მარტო,

ისევ გეძახი

დაღმართ და დაღმართ
ჩამოვყევი ნაცნობ ბილიკებს...
მეგებებიან ლურჯთვალება, მორცხვი იები,
ვაიმე, უკვე გული სევდით გადამინისლე,
ჩუმად ატირდნენ სულის თეთრი მაგნოლიები... .
წამო, წავიდეთ ფხოვის მთები გადავიაროთ,
მითხარი რამე, სანატრელო...
ნუ... ჩუმად ნუ ხარ,
შენ... ლაზისტანის ზეცასავით
შავბედიანო...
ნუ, ნუ ჩუმდები... რამე
  მაინც მითხარი უტა.
მაისის წვიმამ დამისველა
ამაყი შუბლი...
და თუ არ მოხვალ... სულგანწირულს
ველარ მიშველი,
რა დაგვებედა... საუკუნის მბორგავი შუღლი,
და... რაღა ახლა შემეფეთა მზერა გირშელის.
გეძახი უტა... ნებიერა მილოკავს ლოყას,
კვლავ შენს მოკვეთილ მკლავზე მიდევს
ამაყად თავი...
ღამე კი... ღამე ჯერაც უთქმელ
ტკივილზე მოთქვამს...
წამო... წავიდეთ,
შევეხიზნოთ ბილიკებს მთვარის.

ჩემი არეული ლექსი

არაფერი გამოვიდა,
ვერაფერი დავწერე...
აღარც მთვარე ამოვიდა,
ვერც ეს ფიქრი გავთელე...
სულის ჯანყი გინახიათ?!
ოჰ, როგორი დამღლელი...
და ცრემლებიც ქარებს მიაქვთ,
ცოდვას ვამბობ... გამხელილს.
გული უნდა გადავცვალო
უგულობის ხურდებზე...
მანამდე შენ გენაცვალო,
სევდას ვქარგავ ფურცლებზე...
დავდივარ თუ... ვხეტიალობ...
ვერაფერი გავიგე,
ჩემო ბედო, შე ტიალო
ეს რა მახე დამიგე.
გული რამდენს აიტანს და...
გული რამდენს გაუძლებს,
უგულობა გამიტანს და...
უგულობით დავმიწდე.
ღამე... მთვარე... და თვალების არეული ფეთება,
სამრეკლოსთან ჩამოვჯექი,
ეს რა ცეცხლი მედება...
ყველგან, ყველგან შენს ლანდს ვეძებ... .
და... .ცაც ახლა ატირდა.
იქნებ უნდა წავსულიყავ,
იქნებ მოსვლაც არ ღირდა...

როგორ მინდა ახლა ვწერო,
არაფერი გამომდის...
დრო რად უნდა გაიწელოს?!
ამ დროს... ნეტავ რა მოსდის...
ხვალემ შენთან შემაფეთოს...
ნუ... ნუ დამღლი გაისად...
იქნებ ერთხელ... ჩემო ერთო,
იმაისოს მაისმა.

ფიქრებს სადღაც გავექეცი...
ახლა სული აჯანყდა,
ჩემი არეული ლექსი
შენით გამითამამდა...

* * *

იფნის შოლტივით მოქნეულო, ჩემი სულის ცისფერო ფიქრო...
რად შეგაშინა სიმარტოვის შერისხულ ბილიკზე სიარულმა,
ჰე, ცრემლისფერო სინამდვილევ, თეთრი ოცნება არ დამიფრთხო...
არ მომანატრო მიბნედილ ღამის, შავ ღრუბლებში მთვარის ცურვა.

არ მომანატრო ზღვის ტალღებზე თმაგაშლილი მზის დასვენება...
ირმის რემათა ადევნება... ო, როგორ მიყვარს ვითარც მერემეს...

და ცხელ ქვიშაზე სიარული... თუნდაც ფეხის
არდასველება...
სიტყვას მოქნეულს ლახვარივით... გულს რომ
გაგიპობს, მაგრამ მაინც მისატევებელს...

არ მომანატრო დილის ბინდზე მთვრალ რიჟრაჟის
შემოცურება,
არც ღამის ბინდის ვარსკვლავებთან ვალსის ცეკვა არ
მომანატრო...
ახლა რომელი საათია?! აღარც ვიცი, რაღაც იწყება
თუ სრულდება...
ამ გზაარეულ სიმარტოვესთან... ყველა ძახილზე მე
ვდგავარ მარტო.

სტრიქონი... ლექსად აკინძული, ყელს ჩამომწყვიტე
ვითარც „კოლიე“
და რაღად მინდა ვარსკვლავთკაბით მოკიბული
მიეთ-მოეთი...
აჰა, შერისხულ სიმარტოვის ბილიკებზე სიარულით...
დამიყოლიე,
მუხლმოდრეკილი გევედრები... არ მომანატრო...
სული პოეტის...

* * *

ახლა უკვე წელზე ვიშლი დალალს,
ახლა უკვე გავიზარდე... ვფიქრობ,
მზერას თუკი შეგაგებებ თამამს,
თავხედობსო – შენ ეს არ იფიქრო.
გარდასულ დროს შევეხიზნე ფიქრით...
და ღიმილმა სახე დამისერა,
დრო შეჩერდა... თან მაგებებს ქირქილს...
ბავშვობას ვერ დაიბრუნებ... ვერა...
ქართან დაჰქრის გაბუტული გოგო,
ეს აშარი უფრიალებს კაბას,
ზოგჯერ იის ფოთლების ქვეშ ცხოვრობს,
ხან ღრუბლებთან შეაქანებს ჰამაკს.
ვერც კი ამჩნევ... ასე პაწაწინას,
თვალხატულას... უთამაშებს ცრემლი,
და ბავშვურად ეს ბავშვობაც ტკივა,
ცოტაც ყოფნის... სულ არ უნდა ბევრი.
სულ ვერა გრძნობ შენ მის ბავშვურ ღიმილს,
რად მიცქერსო... ეს სულელი გოგო...
მერე წლები აღმა-დაღმა ივლის,
გოგოს თმებშიც შენებრ თეთრად მოთოვს...
მერე როცა შეგეყრება გზაზე,
შენ უღიმი... და იქცევი ლოცვად,
ბავშვობაში მე რომ გაგაბრაზე...
ახლა გინდა დამაჩინო კოცნად.
შემეგებე... იმ ბილიკის ბოლოს,
მე რომ ბევრჯერ გადავთელე ფიქრით,

აღარა ვარ ის... სულელი გოგო...

მე მელოდით?! – თავდახრილი ვიტყვი.
ახლა უკვე წელზე ვიშლი დალალს,
ახლა უკვე... გავიზარდე... ვფიქრობ,
მზერას თუკი შეგაგებებ თამამს...
თავხედობსო... შენ ეს არ იფიქრო.

იწვიმებს?!

ნეტავ როდემდე იწვიმებს...
არ ამოიშრობს ცა თვალებს?
ნეტავ როდემდე ჩუმ იას
არ გაუქრება ნაღველი...
ან ფიქრი რად ამეკიდა
და ყრუ სიჩუმით რას მაწვალებს?..
უთქმელი ვის ედარდება,
სათქმელიც რა მაქვს ამდენი...
ნეტავი ახლა მოთოვოს,
ცად ფიფქებს შევეხიზნები...
იქნება წვიმა შეჩერდეს...
იქნება გადაიდაროს...
სულ ამერია ფიქრი და...
სულ დამავიწყდა სიტყვები,
იქნებ ხვალ მაინც მოთოვოს...
იწვიმებს?!... თუნდაც იწვიმოს.

პოეტის სული

შენ პოეტის სული გაქვსო, –
დამაბრალეს გუშინ...
მთვრალი იყო მგონი ვიღაც
და წამოცდა ალბათ...
ეგ ღიმილი ჩაგიწნავსო
მთვარის ნაფეხურში...
ღამის დალალს რად იხვევო
უჩვეულო დარდად...

შენ პოეტის სული გაქვსო, –
და... აღმოხდა ოხვრა,
რად აგებებ მიმქრალ მზერას
ჩამოძენძილ ფიქრებს...
უბედურო... ტატოს სული
რახანია მოთქვამს,
ვინ დაიხსნა... მე კი ხელი
შეგაშველო იქნებ.

არ მტოვებდა წუთითაც კი...
უნებლიე მგზავრი,
დამეხსენ და... შემატოვე
დაუნდობელ ფიქრებს;
მე სახელად უკვე მქვია
სევდისფერი ქალი...
მთვარის ცრემლმა გადამსეტყვა...
და მას შევეხიზნე.

შენ პოეტის სული გაქვსო, –
(რამ დაათრო ასე...)

მხრებაყრილი... თხელ პერანგში,
დაჰყვა ნაცნობ დაღმართს,
მასაც მზერა გავაყოლე...
ცრემლით თვალებს ვავსებ,
შენ პოეტის სული გაქვსო, –
სიტყვებს ქარში ფანტავს.

შენ პოეტის სული გაქვსო, –
დამაბრალეს გუშინ...

* * *

...დღეს, თთქოს, გულმა დაიწყო
ცისფერ თოვლივით ფეთქვა,
უცებ მოიძრო არშია
თეთრ, ღიმილიან კაბის,
ნაცრისფრად ჩამოაღამა
არნათენები დილა...
მე კი ვდუმვარ და... აქ, სადღაც
წარსულის ლანდი დაჰქრის...
ნეტავ რომელზე თენდება?!
მზემ შუბლი მოიჩრდილა?
იისფერია სამყარო...
ვხედავ „მთაწმინდის მთვარეს“,
იასამანიც ჩურჩულებს...
ღამეც თავიდან მოდის,
ვხედავ... ღმერთკაცი მიღიმის,
უცებ თავს მოიმთვრალებს...
ღვთიური ხმა კი დუდუნებს...

როდის... როდისო... როდის...
ლურჯა ცხენების ჭენებით
ფიქრი სამყაროს გასცდა,
ღმერთო... ეს რა მემართება,
ზეცას ვერ ვაწვდენ ხელებს...
მიწაზეც ფეხი არ მიდგას
და უცნაურობს განცდა...
ციდან სტრიქონად მიფენენ
იასამნისფერ ფერებს...
ჩამოვიარე ფშანის პირს...
ვეუცხოები რიონს...
მოდუდუნებდა სევდისფრად
შხეფად მავალი ღელეც...
ამ თეთრ ოცნებებს, მიხარით,
ნეტავ როდემდე ვდიო...
რამდეჯერ სიტყვა აჯანყდა,
დღემდე ვერ მოვეფერე...
ფშანის პირს იჯდა ღმერთკაცი...
სახელად – გალაკტიონ...

ეს სიყვარული – ნანინანატრი

დე, მერქვას შენი სულელი გოგო,
ზღვასთან რომ ახვევს ველურ ლიანებს...
გზა ამერია... მოვიდე როგორ...
ვაიმე, მოსვლა დავაგვიანე...
ასე დაბნეულს... ფართო თვალებით,
უკვე მილოკავს მუხლებს ტალღები,
მე არასოდეს გაგიავდრდები

მაგრამ... ზღვა მჩემობს
და... გეკარგები.
იქნებ მოხვიდე და... შემეშველო,
ზღვაც ხელებს მხვევს და... გაგითამამდი.
ზღვას გამოსტაცო და დაიჩემო...
ეს სიყვარული – ნანინანატრი.

* * *

ცას შევყურებ არეული თვალებით,
შენ სათიბში მისცემიხარ ფიქრებს...
თუ ჩემს მზერას სადმე დაემალები,
ყველა წუთი... ერთად გადათიბე.
თეთრ ღრუბლებში გამოსხლეტილ მთვარის სხივს...
ჩემზე ამბავს მოუყვები, ალბათ...
მერე უცებ გაიხსენე მაისი...
ჩემი სველი... ნუშისფერი კაბა.
თუ გვირილა ჩემთვის არ დაგიფურცლავს,
ჩემზე, ამბავს, რად უყვები მთვარეს...
ახლა მზერას... მზერით გადაგისუსხავ...
გადავთელავ გვირილებს და...
შეგატოვებ ღამეს.

* * *

თოვლისფერია ახლა ეს ფიქრი, გადაუფითრდა მზერა,
თითქოს გაუქრათ ფანტელებს ხიბლი, მზემ ყელი
მოიღერა...
ლამაზი ქალი... ჩაუყვა ბილიკს, გულს ჩანისლულა
წყენა,
ეს ნაკვალევი... სულში გაივლის ვით სერაფიტას
მზერა.

ლამაზი ქალი... ლამაზად ტირის, ულამაზესად
ღელავს,
და... შეკვდომიან ტუჩები ღიმილს, ფიქრი ფიქრს
ისევ თელავს...
ლამაზი ქალის ლამაზი ცრემლი... ულამაზესად
ბრწყინავს,
და... წამწამების უნაზეს რხევით... ღაწვებს ეღვრება
წვიმად.

ამ ცხელმა ცრემლმა გზა გაიკვლია... ჩაჰყვა ყელს...
იქცა ურჩად,
და ქალის მკერდზე გადაიღვარა... ეძებს და ეძებს
ურცხვად,
ლამაზი ქალის ლამაზი მკერდი... ულამაზესად
ღელავს
და ციცქნა ხალიც... გაუწყრეს ღმერთი... ხალისობს
ვარდისფერად...
ცრემლი შეჩერდა... დაიდო ბინა, თუმც ვეღარ
იკლავს წყურვილს,

თურმე დარაბა ყოფილა ღია ლამაზი ქალის

გულის...
... და მიდის ქალი... მაინც ამაყად, თეთრი ფიქრით
და წყენით,
თვით სილამაზედ გადაქცეულა გულში ჩაღვრილი
ცრემლიც...
ლამაზი ქალი ჩაუყვა ბილიკს... ლამაზად მიაქვს
წყენაც...
ეს ნაკვალევი სულში გაგივლის, ვით სერაფიტას
მზერა...

* * *

შვლის ნუკრს ვეძებ...
მოჩითულა სევდისფერი კაბით,
უცნაურად ჭირვეული...
დამეკარგა სადღაც,
ყელზე ფიქრი მოჰკონვია
ღრუბლისფერი ბაფთით,
დავეძებ და...
ვერსადდ ვპოვე,
სულ ამებნა თავ-გზა.
იქნებ... ვინმემ მაპოვნინოთ,
გთხოვთ... მოისხათ მადლი,
შევისვენე... კარგი ერთი,
რა დროსია დაღლა...
თიბათვეშიც ბილიკებზე
იისფერად ბარდნის...
თავქვე დავყვე?

იქნებ აღმა...
აღარ ვიცი რა ვქნა.
არადა არ მოისვენა...
ნისლის კაბას ხევდა...
რაღაც უცხოს დაეძებდა,
თითქოს ჯერარყოფილს...
იქნებ მთაში გამექცა და...
შეერია რემას,
სად ვეძებო... შემეშველეთ...
ძალა აღარ მყოფნის.
ჩემი ნუკრი...
მოჩითული სევდისფერი კაბით,
ხან ჩუმი... ხან ამ სიჩუმით
უღვთოდ დაზაფრული...
ნუშისთვალა...
ყელმაღალი,
მოხატული კალმით...
სადღაც ნუკრი დამეკარგა...
ნუკრი...
ჩ ე მ ი ს უ ლ ი.

* * *

მერე რა... რომ ჩემი ხარ-თქო, ვამბობ...
მერე რა... თუ სულაც არ ხარ ჩემი...
ახლა სიტყვა უჩვეულოდ მათბობს,
ამ სითბოთი... ვიცი... რომ შენც თბები.
მთავარია, ჩავუკეტოთ კარი
გაზაფხულზე უსაშველო თოვას...

მერე რა... რომ არ ხარ ჩემი ქმარი...
მერე რა... რომ ვერც შენ ხედავ ცოლს აქ...
სულში იყოს აპრილების თოვა,
არ გახუნდეს უჩვეულო ფეთქვა,
სულ არ მინდა, რომ მე ვიყო შენი...
ანდა კიდევ... შენ რომ ჩემი გერქვას...

მერე რა... რომ ჩემი ხარ-თქო, -ვამბობ...
მერე რა... თუ სულაც არ ხარ ჩემი...

* * *

შენმა ნაჩუქარმა კოცნამ
ლოყა ამიწვა და... რა ვქნა,
მე კი კვლავ გიღიმი მორცხვად...
ველი ამღერებულ წამთა...
შენმა ცეცხლოვანმა მზერამ
გული გამიპო და... გაქრა...
ნუთუ, აღარ გჯერა ჩემი,
ნუთუ, აღარ მოხვალ მართლა.
ისე უსაზღვროა ფიქრი...
მოუთმენელია ნატვრა...
წამებს ფურცელ-ფურცელ ვითვლი
და... ნუ დაუჯერებ სხვათა...
ხან მარტივი ვარ და... რთული...
დარდი კიდეს არღვევს ცათა...
რატომ ამიტირე გული,
რისთვის დაუჯერე სხვათა...

სინანული...

ჰე, მამაო, რომელი ხარ ცათა შინა...
ყველას სულში სათნოებად მავალო,
ახლოს ხარ და... უშენობამ შემაშინა,
იქნებ შევძლო... მეც ფეხები დაგბანო.
იქნებ შევძლო რომ ცრემლებით მოგიბანო
ყველა, ჩემთვის დამჩნეული იარა...
გოლგოთის გზა... იქნებ შევძლო
ჩოქვით განვვლო...
და... სიბნელემ შემაშინოს კი არა...
იქნებ მოვკვდე... მოხვიდე და...
გამაცოცხლო,
ცოტაც კიდევ მოგეფერო... მაცალე,
თავზე ხელი გადამისვა და... დამლოცო,
გამახარო... სიხარულით ლაზარეს.
მეც მეძავის მძიმე მანდილს შემოვიძრობ...
ტალახში ვარ, ხელებს გიწვდი... მეშველო...
სხვამ მესროლოს... გევედრები...
შენს ქვას ვიცნობ...
სხვამ მესროლოს... ოღონდ შენ არ მესროლო.
ოცდაათი ვერცხლი სულზე
მძიმედ მადევს,
გაგყიდე და... თურმე ეშმამ მიყიდა...
მე იუდა, მე მეძავი სიტყვას გკადრებ...
ჯვარს გაგაკარ... შენ ჯვარსა მწერ ღიმილთან.
ჰე, მამაო, რომელი ხარ ცათა შინა...
დავეცი და წამოდგომა მასწავლე,
ჩემთან ხარ და... უშენობამ შემაშინა...

ეკლის გვირგვინი დაგხურე... ნაწამებს.
ჯვარზე გაკრულს წყალიც კი არ მოგაწოდე,
მაინც მლოცავს გადახსნილი ვენები,
ვაი, ჩემს თავს... როგორ სულ ვერ შევიცანი
მარიამის მიმალული ცრემლები...
ჰე, მამაო, რომელი ხარ ცათა შინა...
მე განაჩენს... მუხხლმოყრილი მოველი...
და... ჩამესმა... „შვილო, ღამემ შეგაშინა?
ისევ ჩემით გაბრწყინდება ყოველი“...

ჰე, მამაო, რომელი ხარ ცათა შინა,
ყველას სულში სათნოებად მავალო...
ახლოს ხარ და... სიშორემ რად შემაშინა...
იქნებ შევძლო... მეც ფეხები დაგბანო...

* * *

მუზას ვუშარდები...
სიტყვას შემოგკადრებ,
და... ეს სითამამე უნდა მაპატიო...
მთვარის სხივზე ვკინძავ
რითმის ყვითელ ვარდებს...
ფერხთით დაგიფინო
ჩემო გალაკტიონ...
უკვე შუაღამეა... რაღაც შენეული
ღამე ჩამისაფრდდა... დარდი დამაწია,
ჰოდა, სულ არ არის, რომ დავწერო, რთული...
„რომელი საათია... რომელი საათია“...
ამ დეკემბრის ღამეს

შევეგებე მარტო...
სული სივრცეს ითხოვს...
სული გაუმწყრალი...
და „იისფერ თოვლში“
მე ხეტიალს ვნატრობ...
ჯერ არ შემხვედრია... „მთვარე ასე წყნარი“.
ჩავუყევი ბილიკს...
თავს ვანებებ წერას...
ღამის სიმუქეში... სად ვიპოვი ფერებს...
სადღაც სხივი მოჩანს...
უნდა ჰგავდეს მწვერვალს...
გავაქროლებ, ალბათ, ცისკენ ლურჯა ცხენებს...
ქარი ამოვარდა...
ქარი სულთა რისხვის...
ახლა მე და ქარი
ერთურთს შევედრებით... .
და... კედელთან მდგარი ტირის „მეფე ლირი“...
„ფრთებით დაიფარე... ამას გევედრები“,
არ გათენდა... არა!..
ღამე ჩაწვა ფიქრად...
ფიქრმა ჩემთან ერთად ცრემლით გაათია,
გადაგღალა ათვლამ...
და... დამღალა კითხვამ...
„რომელი საათია... რომელი საათია?!“
მაგრამ უნდა ვძლიო...
შევალეწო ღამეს,
სულის გაუხსნელი... თეთრი დარაბები,
იბათვის მზის ჩრდილში
აღარ დავიღამებ...

ფრთები მინდა მხოლოდ...
„ფრთები... ფრთები... ფრთები“...

მუზას ავუჯანყდი...
სიტყვას შემოგკადრებ...
და... .ეს სითამამე უნდა მაპატიო...
შე ღმერთკაცის ტოლო...
სულზე მიფენ ვარდებს...
გულს შენ
მოენატრე...
ჩემო გალაკტიონ...

***

ის დგას ფიქრების ქარში... ქარი უწეწავს თმას...
წვიმა უსველებს თვალებს... დარდი უტოკებს ხალს...
ვერ სდევს ცხოვრების თამაშს... კბილებით იფლეთს
სულს...
ვერ ეგუება ღალატს... და ფეხქვეშ თელავს შურს.
უტევს ქარი და მაინც... მაინც ამაყად დგას...
თავის ჭირს არად აგდებს... თუ ხედავს უჭირს
სხვას...
ქარი კი... ქარიშხალობს... შემოაძარცვავს სამოსს,
ამაყად მდგარი ქალი დუმს და არაფერს ნანობს...
ქარი უწეწავს თმას... დარდი უტოკებს ხალს...
ამორძალივით ქალი... .ქარში შიშველი დგას.
გადაირია ქარი... სამყაროს უქრობს შუქს...
ქალი კი... ღიმილს აფრქვევს...
ვ ე რ უ შ ი შ ვ ლ ე ბ ე ნ ს უ ლ ს!

* * *

ვიღაცა მოვიდა... ვიღაცა წავიდა...
ვიღაცა იმშრალებს სველ თვალებს, თაფლისფერს...
ვიღაცამ ვიღაცას გული აუთოვლა,
და აღარ მოუხმობს ის ვიღაც მაისებს...
ვიღაცა წყაროსთან ჩამოჯდა ეული...
სულში კი ვიღაცის ტკივილი წანწკარებს,
ვიღაცა ვიღაცას ეძახდა... უხმობდა...
წყარო კი ურჩობს და... ასველებს წამწამებს.
ვიღაცას დაადგეს თავს ეკლის გვირგვინი,
ვიღაცას მარტოდენ სიჩუმე აკმარეს,
ვიღაცის თვალებში მე ვხედავ აპრილებს...
ვიღაცას ვიღაცის ტკივილი ახარებს.
ვიღაცა კარდაკარ ღიმილებს არიგებს,
სულში აქვს ჩაწნული სიკეთის მარცვლები...
ვიღაცა დუმილით სიჩუმეს აყვირებს...
ისეთი გულქვაა... სულ არ ენაღვლები.
ვიღაცა თამაშობს ბედის გამგებელთან...
იბრძვის და... დაცემა სულაც არ აშინებს...
ვიღაცა ხარხარებს... ვიღაცა მუხლს იდრეკს...
ვიღაცა მიჰყვება ჩამეწყრილ ნაპირებს.
... და მაინც არ ვიცი ვინ ვისთვის ან რისთვის...
მზადებს უსაზღვრო დარდსა და ტკივილებს,
ვიღაცა წავა და... ვიღაცა დაიცდის,
ვიღაცა ვიღაცის ტირილით იტირებს.
ჰე, სულო, ნუ ბორგავ, ჰე, გულო, ნუ მიწყენ...
ისრებად გასობდი ვიღაცის ტკივილებს... .

ბეჩავო, შენს ტკივილს ნეტავ ვინ გაიგებს...
და მაინც... და მაინც... ნუ დათმობ ღიმილებს ..

ბექას და ზურას

მე ერთს გეტყვით და ეს სიტყვა, ალბათ,
საუკუნის მერეც იტყვის სათქმელს,
კაცი გერქვათ, უპირველეს ყოვლის
გული გქონდეთ, ღმერთი უნდა გწამდეთ.
გარეთ იდგეს ზამთრის ქარაშოტი,
უსასრულოდ თოვდეს, თოვდეს, თოვდეს...
ეს სიცივე თქვენ ვერ შეგაშინებთ,
ოღონდ მკერდში სიყვარული თრთოდეს.
სხვა თუ ტირის ,არ გაგიწყრეთ ღმერთი,
არ შეეკრათ ცისარტყელას ფერებს,
არასოდეს აუაროთ გვერდი,
მოეფერეთ სხვის ტკივილს და ცრემლებს.
ვიცი ,ახლა სიჭაბუკის წლებმა
სულ სხვა ფერის ბადე ჩამოქსოვა,
არასოდეს დაივიწყოთ ვინ ხართ,
გაუფრთხილდით წინაპართა ხსოვნას.
დასანახი დაინახეთ გულით,
თვალი მხოლოდ გარეგნულად ხედავს,
გასატანი თქვენ გაქვთ თქვენი ხნული
მაგრამ სხვასაც შეეშველეთ, ბეჩავს.
თავს რომ გადგათ ნისლისფერი მთები,
მოეფერეთ, თქვენგან სიტყვას ითხოვს,
არა, გულით არ დამიბერდებით,
მთებს ნისლებიც გაუქრებათ ,ვფიქრობ.
არასოდეს შეიყვაროთ შური,
სულს ჩაგიხშობთ მუქი ფერის ბადე,
და გახსოვდეთ...და გახსოვდეთ მუდამრომ

მანკო გულით დაიბადეთ.
სიყვარული, მხოლოდ სიყვარული,
ქალის, კაცის, ერისა თუ ბერის,
უფლისაგან სხვას ნურაფერს ითხოვთ,
ცოტაც გვყოფნის ,სულ არ გვინდა ბევრი.
დედის თვალში ხატად დგახართ მუდამ,
თქვენთანაა, არსად არწასული,
მე ყველა დღე თქვენი სუნთქვით ვსუნთქავ,
ცის კიდემდე მინათდება სული.
მე ერთს გეტყვით და ეს სიტყვა, ალბათ,
საუკუნის მერეც იტყვის სათქმელს.
კაცი გერქვათ, უპირველეს ყოვლის,
გული გქონდეთ, ღმერთი უნდა გწამდეთ.

* * *

წყაროს თავთან
მზის ამოსვლას ვუცდიდი...
თან დილის ნამს ვაგროვებდი პეშვით,
მელოდია სულის ცისფერ მუსიკის
შენ კი არა
მთელ სამყაროს შეშლის.
დღეს ველი და...
მგონი უკვე დაღამდა,
მზის ლოდინში მეფერება მთარე,
ფიქრიც როგორ გაირინდა, გაქვავდა...
მეც თვალებზე ხელი ავიფარე.
ჩამოცურდა ნისლისფერი დუმილი,
ვინ ჩურჩულებს... ვთქვი, რომ აღარ ვიტირებ,

მთვარის გზებზე
მთვარეული თუ ვივლი,
რა ატირებთ ამ მტირალა ტირიფებს.
ვაი, როგორ იღვრებიან ცრემლებად,
ღმერთო ჩემო,
რაღა ახლა ატირდნენ...
ნუ, ნუ სტირით... რამე თქვენც გეშველებათ...
მე გიღიმით...
მზერას ნუღარ მარიდებთ.
აშრიალდნენ...
თმას წეწავენ სიმორცხვით,
უცებ ცრემლი შეიშრეს და დამალეს,
რომ იჯერეს გული
ჩემთან თამაშით...
დარჩენილი დარდიც გადმომაყარეს.
წყაროს თავთან
მზის ამოსვლას ვუცდიდი,
ტირიფების ცრემლშეშრობა მომინდა...
მთვარის სხივთა
ნაფეხურებს ვკოცნიდი,
დაღამდა და...
დღეს მზე არ ამოვიდა...

* * *

„როგორ მომენატრა თოვლი...
ნეტავ, ხვალ დაიწყოს თოვა...
ღამით, უპირველეს ყოვლის,
ფიფქიანი ფიქრი მოვა...

მერე არ გათენდეს თუნდაც, მერე... აღარ
გადაიღოს...
ფიქრმა დამაფიქროს უნდა,
და... ეს ღამეც ფიქრის იყოს.
თოვლში შენს ნაკვალევს ვეძებ,
აღარ დამეკარგოს, მინდა,
ფიფქით ფიქრებს აგადევნებ...
ვაი... თუ კი გამიწვიმდა.
ამ ნაკვალევს წამში წაშლის...
უცებ წამოსული თქეში,...
როგორც უსუსური ბავშვი...
ვდგავარ... უშენობა შემშლის...

სად ჯეჯილი ჰყვაოდა

შუაღამე გადავიდა...
მთვარე იხსნის ვუალს,
მოფერება მინდა, მაგრამ
თვალსაწიერს გაცდი.
დაგიკოცნო ველ მინდვრები...
ნუ... ნუ მეტყვი უარს.
ისევ ცრემლი ეფერება
განსაცდელს თუ განცდილს.

ამიტირდა გოჯა-გოჯა...
ვარდის ცრემლიც მლაშობს,
სად ჯეჯო;ო ჰყვაოდა და
ძარღვში სისხლი დუღდა,

უხილავი სიძულვილი
სიყვარულზე ლაშქრობს...
ჰე, ფარნავაზ, შეგარცხვინეთ...
სიტყვა დაგვიდუმდა.

ღმერთო, რა ვთქვი... იქნებ ვბოდავ...
სული ჭედავს ურდულს...
რომ დუმილით ჩავინაცრო
და გავთავდე ოდეს...
საქართველოვ... გულის გულში
ვუსმენ მტკვარის დუდუნს...
და შორიდან ვეფერები
ხერთვისსა და ბოდბეს.

ხან ოსმალო... ხანაც სპარსი...
მონღოლი თუ თურქი...
ხმალით, შურით, ღვარძლით ხევდა
ქართული ცის ფარდებს,
მაინც ვჭედდით, ვაშენებდით...
და ვხატავდით ფუნჯით.
ეჰ, ქართველის დამარცხება
შეძლებია... ქართველს.

ამიტირდა გოჯა-გოჯა...
ვარდის ცრემლიც მლაშობს,
სად ჯეჯო;ო ჰყვაოდა და
ძარღვში სისხლი დუღდა,
უხილავი სიძულვილი
სიყვარულზე ლაშქრობს...
ჰე, ფარნავაზ, შეგარცხვინეთ...
სიტყვა დაგვიდუმდა.

* * *

საით მიდიხარ...
გაზაფხულის ლოდინით დაღლილს
მარტო რად მტოვებ...
უშენობის დღეები ვთვალო?!
აქ, ჩემს სარკმელთან ახმაურდა დუმილი ქარის...
მარტს შემატოვე, რომ მარტივით მეც შევიშალო...
საით მიდიხარ...
გაწყრომიხარ თითქოს სამყაროს...
ფერთა წვიმაში... გიძებნია ფერი წვიმების...
იასამანთან სიყვარულით მინდა დაგღალო,
ნუ, ნუ მოიწყენ... ღიმილში ნუ ჩაინისლები.
და თუ დაგჩემდი, თუკი სულში შემომიხიზნე...
თუ ჩემს ღაწვებზე ჩამოღვენთილს...
აგროვებ ცრემლებს...
თუ შენს სიზმრებში... ქარადქცეულ...
ქალად მისიზმრე...
მერე კი ... მერე ამ სიზმარზე ლეგენდა წერე...
საით მიდიხარ... .
გაზაფხულის ლოდინით დაღლილს...
მარტო რად მტოვებ...
უშენობის დღეები ვთვალო?!
აქ, ჩემს სარკმელთან ახმაურდა დუმილი ქარის...
მარტს შემატოვე, რომ მარტივით მეც შევიშალო.

* * *

ხომ შეიძლება გათენდეს დილა
და ვერ ვიხილო მე იმ დღის ღამე,
ხომ შეიძლება რომ ვიქცე ხილვად...
მოთქმით მეძახდეს მიჯნური მთვარე.
ხომ შეიძლება ვერ მომეფერო
აცახცახებულ ხელისგულებით...
იასამანსაც ჩაუჭკნეს ღერო,
იყოს სასმისი არდაბრუნების...
ხომ შეიძლება თიბათვის თვეში
ჩამომითოვოს გულის კარებთან...
და მომანატროს მაისის თქეში,
ვეღარ ვილოცო ცისკრის ზარებთან...
ხომ შეიძლება შენც დამივიწყო,
ყორეს მიაგდო ფიქრის კონები,
უთქმელი სიტყვა გადამინისლო,
წამი ჩამოდგეს კვლავ განშორების...
ხომ შეიძლება დაერქვას ბოლო
ათასი დარდით ამოთქმულ სიტყვას.
ახლა შენს სულში ვსახლობ და ვცოცხლობ...
ხომ შეიძლება... წადიო... მითხრა.
... და უსასრულოდ მეძახდე მერე,
კი არ დასრულდა... თურმე იწყება,
რომ აღარა ვარ... არ დაიჯერო,
ეს ყველაფერი ხომ შეიძლება.

* * *

მიიღეთ თუნდაც ეს სიტყვები რიჟრაჟის ბოდვად,
დაე, ვბოდავდე... უნდა გითხრათ, რაც მაქვს სათქმელი,
დღეს ჩემი სული უსაშველო ტკივილით ბორგავს...
ჩემი ბილიკი რატომ იყო გადასათელი...
იქნებ ამიხსნათ, რისთვის ვდგავარ ჩაკეტილ კართან...
ან ფერი რატომ გაუხუნდათ დაშვებულ ფარდებს,
ან მონატრება სად წავიდა, რა დაემართა...
როგორ არ მინდა ამ მტირალა ტირიფებს ვგავდე...
იქნებ ფიქრები მოხვევია ჯარად ლიანებს...
ადრე მოვედი... .ანდა იქნებ დავაგვიანე.

* * *

მე თქვენს აჩრდილებს შევეფეთე რიონის პირას...
გალაკტიონი ჭიქა ღვინით გელოდათ თითქოს,
და ყველა ფიქრი ერთმა ფიქრმა გადაიბირა
იმ ფშანის პირას თქვენთან ერთად მეც ვიყავ იმ
დროს...
სიზმარი იყო... სასწაული თუ მოჩვენება,
არგაღვიძების... მე უფალო, მომეცი ძალი...
ამ ფშანის პირას სულმა იგრძნო მზის მოფერება.
არ მაშინებდა უჩვეულო წყვდიადი ღამის.
.....
„ღმერთო, მიეცი ამ ბიჭებს მეორედ მოსვლის
უფლება“,
იქნებ კვლავ დარჩათ სათქმელი, იქნებ... წავიდნენ
უთქმელად,

სიტყვა კაეშნით ნაწერი, ლამაზად აიფურცლება...
ლადო, მირზა და პაოლო... .სხვაც ბევრი
დაგვიბრუნდება,
„ღმერთო, მიეცი ამ ბიჭებს, მეორედ მოსვლის
უფლება“.

* * *

რამდეჯერ
შევეფეთე
რიჟრაჟის თვალებს,
და სველი
ვარდების
ფურცლები
ვკოცნე...
რამდეჯერ
მოვეფერე
არეულ მთვარეს,
და ჩუმად ვჩურჩულებდი
უთქმელ ლოცვებს...
რამდეჯერ
ცრემლები
ვაწვიმე დარებს...
რამდეჯერ
გაირინდა
ლოდინის წამი...
ახლა კი...
თიბათვის დარები
გამიავდრეს...

როგორ
არ
მოვიკლა
ამ ღამით თავი...

„ბინდისფერია სოფელი“

ბინდისფერია სოფელი,
სულმაც თალხები ჩაიცვა,
გადაიბინდა ყოველი
ვერ იმაისა მაისმა...
ვეღარც სასმისი ავწიე...
ღვინოც
არავინ დამისხა...
ჰოდა, გამექცა სათქმელი
ხან იმ მთის
ხან ამ ბარისა...
მე არაფერი მინდოდა...
შენს სულთან
ახლოს მეარა...
„ჩვენ რას წავიღებთ
იმ ქვეყნად,
სხვას არა
წაუღია რა“.
დღე დარდით
ისე აივსო...
ზედ
გულზე გადამიარა.

* * *

შენა ხარ ქალი...
ჩემი პატარა სულელი გოგო,
შენა ხარ ქალი...
მე შენი სულის
ბავშვურ ტიტინით ვხარობ და ვცოცხლობ.
შენა ხარ ქალი...
ეს საოცრება
მე სიზმრად ვნახე
დეკემბრის ბოლოს,
შენა ხარ ქალი...
და გევედრები,
რომ კაცის გული
არ დამიობლო.
შენა ხარ ქალი...
თეთრი ვარდებით,
უცნაურ მზერით
და გაოცებით...
გთხოვ რომ
ნურასდროს გამიავდრდები
მე ქორწილს ვიხდი
შენთან ოცნებით.
შენა ხარ ქალი...
ველური დეკა,
ან იქნებ იის
ნაზი ფურცელი...
მე უბადრუკი
მონა შენს ფერხთით...
ასე ჩუმი და
ასე უთქმელი.

* * *

სიზმრად გნახე...
მომენატრე ისე,
შენს ჭიშკართან ცრემლიანი მოვალ,
დაგეძებ და
ნისლჩამდგარი ფიქრით
შენს დაკარგულ
ნაფეხურებს ვკონავ...
უმოწყალოდ
ჩაიფერფლა ღამე,
ქარი ფანტავს
ნასათუთევ სურვილს,
თეთრი თოვლი
შენს ნაკვალევს წაშლის...
ატირდება, ატირდება გული.
ამ მოლოდინს
ნუთუ არ აქვს ბოლო,
ვითვლი ისევ
შენი მოსვლის წამებს,
დაუბერავს
კვლავ დეკემბრის ქარი...
ყივჩაღივით
შემომინგრევს კარებს.
დაეშვება
ზამთრის ცივი ფარდა,
რა გაუძლებს
უშენობის წუხილს...

ეს დღე
უკვე აღარაფერს
ჰგავდა...
მგონი
სულსაც შეეპარა
მწუხრი.

* * *

ღრუბლებში გამოსხლეტილი
მთვარის სხივივით თავნება...
სულში ჩაწნული ტკივილი
გამოუთქმელად ფითრდება...
დაგიძახე და...
მოხვედი,
ფიქრი კი
ისევ ამებნა,
არ უნდა
მოსულიყავი...
რად?! –
წასვლა გაგიჭირდება.

* * *

დღეს ლაბადა მომახურე
სველი... ნისლისფერი,
ვარდობისთვის სიჩუმაში
სული ამითოვლე,
დღეს ლაბადა მომახურე

ო, როგორი სველი...
ჩამოვცრემლე,
რადგან ჩემო,
მე მზისფერი გთხოვე.
ამ ქუჩასაც
გადკვრია
ახლა ბინდისფერი...
ასხლეტილი
მთვარის სხივიც
ეფარება ღრუბელს...
დღეს
ლაბადა მომახურე
ამ ღრუბელისფერი,
ბე მზისფერის მოლოდინში
დამისველდა უბე.

* * *

ვითვლი დღეებს,
მერამდენედ
ვითვლი დღეებს,
გული გელით...
შენ, გაზაფხულს, მზეს...
ტყემლის
ნაზი ფანტელების სითეთრეში,
ვერ ვიხსენებ
შენი სახის ფერს.
ყველაფერი

დამავიწყდა,
თითქოს მართლა...
თითქოს მართლა
დამეკარგე ქარში...
ეს აპრილი
სხვა აპრილის
დღეს არ ჰგავდა...
ჩუმი ცრემლი
აგადევნე გზაში.
დრო გასულა...
უსასრულო დრო გასულა,
დარდი მიპყრობს,
ის ტკივილი მტკივა...
სჯობდა სულაც არ მენახა...
ან არ გათენებულიყო
იმ აპრილის
ცრემლიანი დილა.

* * *

სადღაც ფიქრი გაწყდა და... .
სადღაც ფიქრი დაიწყო,
დილა როგორ გაწვალდა...
ან ეს წვიმაც რა იყო.
აპრილების თოვაში
მზე თვალებს რად ისველებს...
ცას ღიმილი შევაშრე,
ვერა და ვერ ვისვენებ...
აწეწილი ფიქრები

ნისლებს ჯარად ეხვევა...
რა სევდისფრად ირთვები
ჯერაც არგათენებავ... .
ალიონის ღიმილი
კვლავ ტუჩიდან მომპარეს,
ხმაჩაწყვეტილ გვირილას
ქარს ვუტოვებ... მონაბერს.
მაიმედებს ყველა დღე,
მაგრამ... არვინ მოსულა,
ისევ დაღამებულა და...
მთვარე ჩემსკენ მოცურავს.
ხმაჩამწყდარი გვირილა
უკვე თვალებს მარიდებს...
დღემ უმზეოდ ირბინა და
ღამე იხვევს შავ რიდეს.
ფიქრი ისევ გაწყდა და,
ფიქრი ისევ დაიწყო...
დღე რა მალე დამთავრდა...
ან... ეს ღამეც რა იყო.

მე

შენი შიში
მაშინებს ახლა,
თორემ
საკუთარს გადავეჩვიე,
დღეს ჩემს ოცნებებს
სიმუქე ახლავს...
სევდამ დამტოვა,

მე კი – ვეწვიე.
და ვდგავარ ახლა
ამ შეშლილ ქარში...
ისე ამაყად...
ჯავრი ვიყარე,
ამ გაღიმებას
ვერასდროს წაშლი...
შენ მე
ვერასდროს
გადამიყვარებ.

* * *

მენატრება ის ერთი...
თუმც არავის ვუმხელ...
მივუყვები ბილიკს და... თმას მიწეწავს ქარი,
„ვუყვარვარ", – „არ ვუყვარვარ", –
ვითვლი ფურცელ-ფურცელ...
ვიღაც წინ მობარბაცებს...
უნდა იყოს მთვრალი.
ბინდისფერი ჩამოწვა,
მთვარეც იხსნის ვუალს...
ერთმანეთის პირისპირ
დავრჩით მხოლოდ სამნი...
მთვარე სხივებს იფანტავს... აგვარიდა მზერა,
შეყოვნდა და... მიღიმის უნებლიე მგზავრი.
გავირინდე...
ვერ ვპოვე შესაფერი სიტყვა,
აღარც ღიმილს ვაგებებ აბინდებულ თვალებს,

რაღაც ჩაიბუტბუტა... მზერამ გადამსეტყვა...
გავირინდეთ ღამეში
მე, მთვრალი და მთვარე...
როგორ მონატრებია თურმე გულს ეს სიმშვიდე...
იყო ამ შეხვედრაში უცნაური წამი...
ღამეული ჩვენება... გაჰყვა მთვარის ბილიკებს... .
თურმე გზად შემხვედრია... „სიყვარული მთვრალი“.
გავუყევი ბნელ ქუჩას... ისევ ვითვლი ფურცლებს...
მენატრება ის ერთი... მთვარეს ვანდობ მარტო...
უჩვეულო ღამეში რატომ ვპოვე სიმშვიდე...
თვალზე ცრემლის ნამები... დამეფინა რატომ?!...

* * *

სადღაც უნდა დაგეკარგო,
კვლავ მოვიხმობ აპრილებს...
დღეს თუ ჩემთან ყოფნით გათბობ,
წავალ... გავინაპირებ.
მწიფე ალუბლისფერ ტუჩებს
გადაფითრავს სიშორე...
უშენობის წლები ვფურცლე,
გულს ვერ გადაგიშორე.
სიამაყე შემოვიცვი...
ოჰ, როგორი დამღლელი,
მივდივარ და... მაინც გიცდი,
ვერსად ვპოვე საშველი.
ეს წვიმებიც... ეს ქარებიც
რაღა ახლა გაგიჟდნენ...
ხან ვუცდი, ხან ვემალები

შენს არეულ ნაბიჯებს.
ჩემი თმები ბილიკებად
დაგიფინე ათასჯერ,
ჩუმად მთვარეც იმზირება...
ახლა რომელს გადაგრჩეთ...
და ეს ღამეც ეჭვით მიმზერს...
ღამე ჩემი ხიზანი,
როგორ მინდა შენს ბალიშზე
ერთად ვნახოთ სიზმარი.

* * *

ნოემბრის ქარი მიწეწდა ფიქრებს,
შორეულ გზაზე მეჭირა თვალი,
ცრემლმორეული შენი ღიმილი...
ყველა დღე დამაქვს თვალებით, მამი.
ახლაც ცრემლებით შორიდან გიხმობს,
შენი თავნება, ბუტია ქალი...
.....
არ ვიცი რა ვთქვა... სიტყვა იშვა,
... და ცრემლი აბამს,
შემოდგომის ქარს გამოვატან
მოკითხვის ბარათს...
და ასე დაღლილს... ბუხრის პირას
ჩამომჯდარს, მამი,
კარს შემოგიღებს
შენთან სტუმრად მოსული ქარი.

* * *

შენთან მომქონდა
თეთრი ვარდები,
და გზად შემომხვდა ქარი
თავნება,
როცა ხატის წინ სანთლებს ვანთებდი
ისიც ჩამიქრო...
არც იქ დამნებდა.
ფურცელ და ფურცელ
მიმომიფანტა
ამღერებული თეთრი ფიფქები...
ხელთ შემატოვა რტოები დარდად,,
დღესაც უსიტყვოდ
გადავფითრდები... .
სველი რტოებით,
ჩამქრალ სანთლებით...
როგორ გამოვყვე
შენამდე ბილიკს...
სულის ცისფერი
ათინათები
ჩამეწყრილ გზებზეც
ღიმილით ივლის.
გაზაფხულამდე არ შემიშინდე...
არ მოიხვიო სევდის ლანდები...
სანთელს ავანთებ...
ვპოვებ სიმშვიდეს,
...და ისევ მოვალ
თეთრი ვარდებით.

* * *

სიზმრად
გხედავ
ყოველ ღამით,
მამი,
უკან მოგდევ...
დაგიძახო,
ვბედავ...
ისე მინდა
გნახო
მე ამ ღამით...
შენ კი
უნდა მაპატიო,
დედა.
შენი წილი
სითბო
გულში არის...
მაგრამ
ახლა
მამის თვალებს
ვხედავ...
ასე ჩუმი...
ასე უწყინარი,
ხომ არ
დამიდარდიანდი
ნეტავ?!

ღმერთო, მომიყვანე მეორედ

სიზმრის ღამეული ჩრდილები
ჩუმად მიკოცნიან სველ ტუჩებს,
მხრებზე შემომხვიე ფიქრები,
მოდი... ოცნებებში მესტუმრე.
ასე უშენოდ... თუ ვეწამე,
ასე, უჩემო დღე გაგიჟებს...
კალოს სურვილები ლეწავენ,
მოდი... შენი ნახვა მაღირსე.
ბალიშს ეფინება შავი თმა,
ღამე ჩუმია და უთქმელი,
ფიქრი ვარსკვლავებმა გამითქვა...
მოდი... და ჩემს მოსვლას ნუ ელი.
ქალი, ამორძალის ღიმილით...
ვიცი, ამ ღიმილსაც იჩემებ,
დროში ჩაიკარგა ყვირილი,
მოდი... ამ დროს ნუ შემიჩერებ.
სული ამიჯანყდა... (სულს ვინ ძლევს)
წვალობს ჩემი ბედის ბორბალი,
ღმერთო, მომიყვანე მეორედ და...
ისევ სიყვარულით მომკალი.

* * *

დილის ბინდზე... ცისკარს ასგზის დავუჩოქე,
ოჰ, ეს ღამე რა წამებით გავიდა,
ცა ვარსკვლავებს იშორებდა...
აჰყვნენ ჭორებს,
დღე დგებოდა... დღე დგებოდა თავიდან.
სამრეკლოსკენ ნისლა მზერა გავაპარე,
ღმერთო, უცებ ღვთისმშობლის ხმა გაისმა;
ნუ ტირიო, სულს სიმშვიდე დაგაფარე...
ვერ გიცნოო... ვერცერთი წლის მაისმა.
მეც კიბეზე ჩამოვჯექი, თავდახრილი...
სიმარტოვე უცებ გვერდით მომიჯდა,
მე რამდეჯერ გავებუტე უკვე ღიმილს...
ან ეს ცრემლი... მერამდეჯერ მოვიდა.
დილის ბინდზე ... ასგზის ცისკარს დავუჩოქე,
განცდა იყო... ოჰ, ათასჯერ განცდილი...
წამწამები კვლავ იცმევენ ნისლა ჩოხებს,
სამრეკლოსკენ... .კვლავ ხელი მაქვს გაწვდილი.
ცა კი... ისევ ვარსკვლავების კაბას იცმევს,
ეს დღეც მიდის... არასდროს დაბრუნდება...
გზა ამებნა... შევეხიზნო უნდა ნისლებს...
მაპატიო უნდა... .არდაბრუნება...

* * *

ფიქრი ისევ აეკიდა დაღლილ ფიქრს,
უჩემობის ტკივილს ღამე გეტყვის...
მე არ დავწერ არც ლეგენდას და არც მითს,
მთვარეს ამბავს მოვუყვები ერთის...

რიჟრაჟამდე, ალბათ, ნამად ვიქცევი,
გადმოვაფრქვევ მელოდიას ფერთა,
რაღა ახლა დამეფინა ნისლები...
რაღა ახლა...
რაღაც უნდა მეთქვა...

* * *

ისევ უღიმღამოდ გათენდა,
რიჟრაჟთან ჩამოცრემლა სულმა...
წუხელ ფიქრიც ღამეს ათევდა,
სევდაც არსად არ წასულა...
ისევ გაიცრიცა იმედი...
ზღვაში ნაგროვები პეშვით...
გზა ჩანს... .საყდართან ვერ მივედი,
ალბათ, ეს სიშორე შემშლის.
ისევ უღიმღამოდ გათენდა...
ნეტავ დაღამდება როგორ...
ფიქრიც ღამეს შენთან ათევდა,
ჩემო გულნაცარა გოგოვ...
ჩემო ვარდობისთვის შხაპუნავ,
ჩემო თიბათვის თვის ჩრდილო...
ბედმა ხეტიალი გარგუნა
ჩემო უდუღარო ღვინოვ.
შემოდგომისფერით ირთვები...
ისევ ყვავილობ და... ძალობ...
ო, რა ღრუბლის ქულად ფითრდები,
ჩემო ალალგულა ქალო...
ნეტავ ვინ გაიგებს შენს ტკივილს,

ვინ ხარ... ან საიდან მოხველ...
მითხარ, ფრთები რად გაქვს შეჭრილი...
ანდა... მერამდეჯერ მოგკლეს.
.....
ისევ უღიმღამოდ გათენდა...
ნეტავ დაღამდება როგორ...
ქალო, შემოდგომის ნათებავ...
ჩემო სევდისფერო გოგოვ.

* * *

შენს გზას და ბილიკებს
ფრთხილად გაჰყევიო...
სიფხიზლე უნდაო გადასვლას...
მერე კი,, მერე კი...
ცრემლი გაღვრევინონ,
შენს გზაზე ვიღაცა გადავა...
არ თქვაო... არ თქვაო...
ჩუმად იყავიო...
დუმილსო ოქროს აქვს ფასი...
სხვა იტყვის შენს სათქმელს და...
ეს რა მიყავიო...
ყოფილხარ ეშმა და ფარსი.
ნიღაბს ნუ მოირგებო...
ნიღაბი დამღლელია...
სულს სარკედ უქციეო სახე...
ნიღბებით ცხოვრება, ვიცი... ადვილია,
მაგრამ შენ სიძნელე ნახე.
ფეხი არ გადადგა...

ათასჯერ გაზომეო,
ამაყი თვალებით მსუსხავ...
ვზომავ და...
როდესაც ვფიქრობ რომ გადავჭრა...
მოვა და
გადაჭრის სულ სხვა...
მაგრამ
მე მე ვარ და...
სხვა ვეღარ ვიქნები...
დარდი და ტკივილი მქმნიდა...
გაჭერით... გადადით...
მოირგეთ ნიღბები...
მე სულ სხვა სიცოცხლე მინდა.

* * *

დღეს სულში მძივებად ასხმულა სიკეთე...
მზის სხივზე აკინძულ სიყვარულს ვატარებ,
ხვალ გულში იების სურნელი იფეთქებს...
მანამდე დამღალეს... ო, როგორ დამღალეს...
ზეგ ბროწეულების გახლეჩილ ბაგიდან
მზეს კოცნას მოვპარავ და ტუჩზე დავიფენ...
ნუ მეტყვი, მოდიო... ეს მოსვლა არ ღირდა...
და ამ თეთრ ოცნებებს ფერხთით ნუ დამიფენ...
ხომ ხედავ... ჩანაცრულ... ურითმო სტრიქონებს,
ღამეში დავეძებ... ნათელში ვერ ვპოვე...
არ მინდა,,არ მინდა... და მაინც გიგონებ,
ტალღებად მოსული სიცოცხლე მეგონე...
არ გელი... ნუ მოხვალ... ღამეულ ჩრდილებში

დამტოვე ეული, სიყვარულს მე წავშლი...
რამდეჯერ დანამდეს ცისფერი რვეული,
მე შენი ოცნება... შენ ჩემი მირაჟი.
დღეს მზის სხივს მოვიგლეჯ ყელიდან უღმერთოდ...
არ ველი გაზაფხულს... და აღარც მაისებს...
იებიც ტირიან... მზეს ვეღარ ვუმზერთო,
ო, ეს ლურჯთვალანი რა წყენით აივსნენ...
ზღვის ტალღებს მივუგდებ ნაღმერთებ სიყვარულს,
მარტო ვარ... გავცქერი ჰორიზონტს ნავიდან,
გროშებად გავყიდი გულს შენით დაზაფრულს,
და... მერე ცხოვრებას დავიწყებ თავიდან...
.....
უგულო სიცოცხლე არც ისე ძნელია...
მაგრამ მე არ მინდა,,არ მინდა... არ მინდა...

* * *

შენ, ჭირვეულო ბავშვო,
ნუშის ყვავილო ქარში...
ჩემსულნაირად ანცო,
კარავს დაგიდგამ მთაში.
მერე ხელს მოგხვევ წელზე,
მერე... დაირღვეს ღამე,
გაეცინებათ მწყემსებს
ცისკრის ვნებიან ხმაზე...
გათენებისას ისევ
შენს თმას მოვაფენ მოლზე,
გვირილებს დავიფიცებ...
,,მოვა'' – ,,არ მოვას'' ფოთლებს...

მერე ვიქნებით ერთად...
ფერხთით გაგიფენ სულსაც...
ნუ დაღამდება ერთავ...
ნურც გათენდება თუნდაც,,

არის?!

არის კი სადმე ბედნიერება?!
მე ვერსად ვპოვე...
თუნდ ერთი წუთით მეც შემესვა
იგი ფიალით,
ეჰ, დავიღალე...
ვხედავ, უკვე მეცლება ღონე,
წლებმა ზედ გულზე
გაიარეს
თავის სიავით.
იქნებ გიჟი ვარ
და მომეცით საიგიჟის ნება...
უკვე ფიქრებიც
ემსგავსება
ველურ ლიანებს...
და...
ეს სიგიჟეც ახლა
ალბათ ღმერთმა ინება,
მასვით სამსალა...
ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი თ
მომაჭკვიანეთ.

* * *

ახლა... როცა დასასრული
უჩანს ლამაზ ზღაპარს,
აღარც კეთილ გზას დავეძებ...
არც მზეჭაბუკს ვუხმობ,
ასეც ხდება
სილამაზეს სიმახინჯე ჩაგრავს,
აღარ მინდა უკვე ვწერო...
დავიღალე... ვფიქრობ.
ახლა უნდა გადავწიო
ღრუბლის სველი ფარდა...
და ღრუბლებში
ჩავიძინო იქნებ
„მეფურ ძილით“...
ეს სიცხადე
ამღერებულ გედის
ღიმილს ჰგავდა...
ერთადერთ და ამოუცნობ,
უკანასკნელ ღიმილს.
შენ დარდები არ მოისხა
იწამე ვინც გწამდა...
მე
ღრუბელი გადამიშლის
უსაშველო ტკივილს.

* * *

დამესიზმრა
რომ კვლავ იდგა გაზაფხული...
რომ
აპრილი ჩაწნულიყო თმებში...
დარდი იყო
სადღაც შორეთს გადასული...
არც ღრუბელი... არც წვიმების თქეში.
დამესიზმრაგადაევლო ქარბორბალას...
ნელი სიო
მილოკავდა ლოყას...
დარდმა – დარდი...
ფიქრმა ფიქრი აიყოლა...
და ვიღაცამ
მონოლოგი მოჰყვა.
გამეღვიძა...
სევდანარევ სიცხადეში
ვერ ვიგრძენი
აპრილების თოვა...
ცრემლს აფრქვევენ
ფრთაქათქათა გვირილები...
არც მე ველი... .
მაგრამ მაინც მოვა...

* * *

როგორ გაიცრიცა წამი,
ახლა მარტოობაც ვერ მთმობს...
ღამე მობარბაცებს მთვრალი,
ნამი დაეცრემლა ფერდობს...
ახლა ყველაფერი გაქრა,
ახლა ყველა ფერი მუქობს,
და მეც აღარ ვიცი რა ვქნა,
მთვარე ღრუბელს ადგილს უთმობს.
ასე არეული ღამე...
ასე გათელილი რწმენა...
გულო, საით მიგაქანებს
ვერდაოკებული წყენა...
ალბათ... ორი არის ღამის,
ოთახს დასდებია ჩრდილი,
ისმის სულის მოთქმა... ქალის...
როგორც ატირება ჩვილის.
არხევს მაგნოლიას ქარი...
ასე უენოს და უთქმელს...
ებრძვის ღამის წყვდიადს მგზავრი...
როგორც ქარბორბალა შურთხებს,,
როგორ გათელილხარ ფიქრო,
სულში ჩაგილეწეს ქნარი...
დგას და... შველას აღარ ითხოვს...
ქარში ს უ ლ გ ა შ ლ ი ლ ი ქალი...“

* * *

დღეს რომ სევდისფერი ღამე შემეფეთა,
დღეს რომ ვარსკვლავები აღარ ჭორაობენ,
იქნებ მოსულიყავ, იქნებ რამე გეთქვა
და რაც დამავიწყდა, მოდი, მომაგონე...

ეს ვერხვის ფოთლები ისევ აჩურჩულე,
თმაში ჩამაბნიე ფიქრი შემოდგომის,
თუ რამ მაწყენინე ტუჩზე ჩამიჩუმე,
იყოს სევდისფერი, ნუ იქნება გლოვის.

მზერა ავისხლიტე უკვე მთვრალი მთვარის,
ხან ბედს ემდურის და ხანაც გამჩენს ლოცავს,
ცრემლით ამივსია პეშვი მინანქარის
და ამ ცრემლებს ვმარცვლავ ვითარც
კრიალოსანს.

შემოდგომისფერი სევდა დამეუფლა,
ოჰ, ეს შემოდგომაც გზაზე მომეწია,
უშენობის დღეებს უღიმღამოდ ვფურცლავ,
იქნებ გეჩქარა და იქნებ მოგეღწია.

დღეს რომ სევდისფერი ღამე შემეფეთა,
დღეს რომ ვარსკვლავები აღარ ჭორაობენ,
იქნებ მოსულიყავ, იქნებ რამე გეთქვა,
თუ რამ დამავიწყდა, მოდი, მომაგონე...

* * *

ახლა ვერაფერს ვერ გეტყვი,
თითქოს სათქმელიც გამიქრა...
რაღაცას ვეძებ გაწყვეტილს,
რაღაცას ვკინძავ თავიდან...
ახლა სამია... ამ ღამის,
დრო ნელა მიიზლაზნება...
იქნებ სჯობს, გითხრა: „ნახვამდის“,
იქნებ არც არა მთავრდება.
მე შენი ტრფობის სურვილმა
სულ აღმა-დაღმა მატარა,
იქნებ ბავშვობის სული ვარ...
იქნებ... არც ისე პატარა.
მოვედი... შენთან მოვედი,
ღმერთო, რამდენი ვიარე,
გულს ხელისგულით ვათბობდი,
შენამდე ვკრავდი იარებს.
ახლა წამებიც შეჩერდნენ...
არადა... გზაა სავალი,
ღამეს დუმილით ათევდი
შენ – სულის იასამანი.
ფერადოვნება სიყვარულს
შენთან მიეცა სხვაგვარი,
ისურვე... სანამ გულსაც სურს.
დრო არ დაგვინდობს მზაკვარი.
აპრილებს ვერ მოვაბრუნებთ,
სულსაც დაათოვს ჭაღარა,

დღეს სიყვარული გარგუნე?!
სულ ღრუბელ-ღრუბელ გატარა...
.....
მერე რა მოხდა ნეტავი,
ცრემლის მიზეზი რა იყო?
გული გაჩერდა მფეთქავი,
და... სადღაც გზები გაიყო.
წერილს გწერ... თან ღამეს ვფურცლავ...
მელნად მაქვს ცრემლის წვეთები...
დღეს... ამ თოვლისფერ ასულთან
შენ .მერამდენედ შეკრთები.
ვერწაკითხული წერილი,
მთვარესთან განაღვლიანებს...
ეჰ, სიყვარულის მტევანი
მწიფობას კვლავ აგვიანებს.

* * *

შორეთიდან გზას გამოჰყვა ორი ჩუმი მგზავრი,
კიდევ ერთხელ აეკიდნენ ბედუინთა გზა-კვალს...
მოდიოდნენ... მოიკვლევდნენ გზას ვეფხვი და ქალი...
და ეძებდნენ სამყაროში სასწაულის განცდას.

ხან უდაბნო გადმოსერეს, ხანაც ეკალ-ნარი,
ისწრაფოდნენ ქედუხრელად... არ უგრძვნიათ დაღლა,
მოდის ორი სილამაზე... ამაყი და ლაღი...
გზა ვერა ღლით... ესწრაფვიან რაღაც ახლის ნახვას...

საით ქალავ?... არვის უსმენს, ახლა დროა განსჯის?!
უცებ ნაზად შეტოკდა და... შორს გასტყორცნა მზერა...

იქ არისო... მხოლოდ იქო... აუჩქარა ნაბიჯს,
აედევნა ვეფხვი უმალ... .გადაიქცა ღელვად.

აქ ელოდა... აქ ეძებდა... სასწაულის განცდას,
ოჰ... ტაძართან ჩაიმუხლა... .ბოლო უჩანს ლოდინს...
ეჰეჰეიიი... .გადასძახა საოცნებო მთა-ბაქრს... .
თუმც... ტაძრიდან ერთის ნაცვლად... გამოვიდა ორი...

ქალი იქვე მიესვენა... აარიდა სახე,
აღარც ცრემლი... აღარც კვნესა... დაავიწყდა ლოცვაც,
დაღლილსა და განაწამებს მთვარე სხივებს ახვევს... .
იწვა ასე ის დილამდე... და... გათენდა როცა...

ერთი მზერა გააყოლა ბედნიერთა გზა-კვალს,
მერე ნაზად, ძალზე მშვიდად დაეხუჭა თვალი... .
სულ ეძებდა... სულ უხმობდა ჯერარყოფილ განცდას,,
იპოვა და... აქაც გვიან... ჩაიფერფლა ქალი.

ვეფხვმა გულში ჩაიხუტა... გადმოყარა ცრემლი...
დაავიწყდა რას ეძებდა... ქალის დარდით მოთქვამს...
თურმე მასაც აქ უცდიდა... ერთი ტყვია ცხელი...
საქართველოს სილამაზემ ასე ბევრი მოკლა.

...და წევს ქალი... საყდრის ახლოს... დაშვებული
თმებით...
ტუჩზე ღიმი დაჰკონვია ვარდფურცელას დარი...
ქალი... ვეფხვი... .ვეფხვი... ქალი... და ტკივილი ერთი...
საოცარი გრძნობითა და სიყვარულით მკვდარნი.

* * *

ია ამოდისო დედის ცრემლზე...
მეც იებს ვეფერები, დედილავ,
პირველად თვალები რომ ავიცრემლე...
ჩემი ტკივილი შენ გეტკინა.
ნაზად დამცქეროდი შენს ქალას,
ღიმილით მიღვიძებდი ღიმილს...
ალბათ, მეც ვფიქრობდი... ღმერთთან ვარ...
ასე უმწეო და ჩვილი.
ნანას მიმღეროდი, დედილავ,
მე რაი გიმღერო ნეტავ?
როცა შენ გიყურებ... შვებით ვარ,
მოვიწყენ, .როცა ვერ გხედავ...
„შენ მარტო არა ხარ, სულისთქმავ“,
ამ სიტყვებს მეძახდი მუდამდღე...
„შენა ხარ... შენ... ჩემი გულის ხმა“,
წლები კი... ულმობლად ბრუნავენ...
იების კონები ვაგროვე...
მინდა რომ დავღალო ფერებით,
შორს ხარ და... ხმასაც ვერ გაგონებ,
გულთან მაქვს მე შენი ცრემლები.
როგორ მოგეფერო... არ ვიცი,
შენი მოფერების ჩრდილში ვარ...
არა... .დე... .ხელი არ გაგიშვი,
და მეც დაღმართისკენ მივქრივარ...

* * *

შუაღამეა... ნახევარი სამის,
დღედაკარგულ ღამეს ახლავს ბზარი...

გათენდება, თეთრ ოცნებებს ღვიძავს,
ეს დღე გეტყვის, რაც ვერასდროს მითქვამს.

შემოდგომას დარდისფერი მოსავს...
საყდარში ვარ... ვერ ვახერხებ ლოცვას.

ბროწეულებს გახლეჩიათ ბაგე...
მე ვჩუმდები... შენ გიტოვებ სათქმელს.

ო, ეს ღამეც ქარმა გადათელა,
არაფრის და აღარავის მჯერა.

მთვარე ტირის... გული იწყებს თრთოლას,
ვიღაც მღერის დაუვიწყარ რომანსს.

რიჟრაჟს ვხვდები... წუხელ ღამე მღლიდა...
მე ვერ ვამბობ დღეს, რისი თქმაც მინდა.

* * *

როგორ გავექცე ფიქრებს,
 როგორ დაგტოვო მარტო...
დღეს განშორებას ვიწყებ,
 ხვალ კი... თავიდან გნატრობ.
ეს შემოდგომის ფერიც
 ლიბრად მედება სულზე...
დღეს უშენობა მშველის,
 ხვალ შენთან გადამფურცლე.
შენ არასოდეს მტოვებ,
 გაგირბი... ისევ მეძებ,
ამ ბროწეულის რტოებს
 ქარი უკოცნის ფერდებს.
ღამე... სიგარის კვამლი
 და ერთი ჭიქა ვისკი...
მიტოვებული ბწკარი,
 ვდგავარ უკუნში... გიცდი.
და მერამდენედ ვფურცლოთ
 ეს „ათას ერთი ღამე“...
ოჰ, თავნებავ და ურცხვო,
 სული რად გამიწამე.
დღეს გადაგგკარგე სადღაც...
 ხვალ კვლავ გეძებ და გჩემობ...
უსათუთესო განცდავ,
 შენ, მარტოობავ ჩემო.

* * *

შენ არ დამიღონდე
 გზას თუ გავუყვები...
თუ ვერ შემოგაწნავ
 ცისარტყელას ფერებს,
თუკი ამღელვარდნენ
 სულში ქარბუქები...
შენ არ დამიღონდე... არა! შემოგევლე.
 ჩემი ამაყი და
მარტის ხასიათით
 მგონი გადაგღალე,
კიდეც მოგეფერე...
 თუკი ვერ აგინთე
 ტრფობის ათინათი...
 შენ არ დამიღონდე... არა! შემოგევლე.
შენი გულის ფსკერზე
 ლოცვად მიარია...
გრძნობის ყველა სიმი
 კოცნით შემოვთელე...
ჩემი ამღერება
 უკვე გვიანია... .
შენ არ დამიღონდე... არა! შემოგევლე.

* * *

თუკი ზეცას არ ანათებს ვარსკვლავების მძივი,
თუ მარტივი სინამდვილე გაგიხდება რთული...
თუკი დარდებს შეეხიზნე... სულის ჩუმი მწირი,
გაუძელი... ნუ დაგწყდება, ნუ დაგწყდება გული.

თუ ვარდისფერ სილაჟვარდეს ჩამოხიეს ფარდა,
თუ სიცრუედ მოგიბრუნეს სიტყვა რამე, ბრძნული,
თუ ეს წლები ჩაგითვალეს ვით თამაში ქართან... .
გაუძელი... ნუ დაგწყდება, ნუ დაგწყდება გული.

თუ ღიმილი შეეყინა ალუბლისფერ ბაგეს,
თუ ტკივილით ჩაგიფარცხეს ტრფობის თეთრი
ხნული... .
თუ დღეს არ გწამს რაიც გწამდა, რაიც უნდა გწამდეს,
გაუძელი... ნუ დაგწყდება, ნუ დაგწყდება გული.

თუ გაზაფხულს შენს თვალებში აატირებს მარტი,
თუკი ვარდებს ვერ მოგართმევს ფიქრის
უფლისწული,
თუკი გუშინ ალუბლების აყვავებას გავდი...
ფოთოლიც არ შეგარჩინეს?! – ნუ დაგწყდება გული.

შენს ბილიკზე ივარსკვლავე, მარტოსულის
ხვედრით...
იის ცრემლით მოიბანე სულის ყველა წყლული...
ღვთისმშობელო... მუხლმოყრილი, სინანულით
გვედრი... .
სიყვარულით გამიცოცხლე ჩაწყვეტილი გული.

* * *

საყვედურს რომ ვისმენ,
ღმერთმანი,
უცნაური ხარო, – მმოძღვრავ.
გული დუმს... სულია მფეთქავი...
მოვედი...
არ ღირდა მოსვლა?!
წუხელის ღამემაც დამღალა, გარიჟრაჟს ვაწვიმე
ცრემლი,
მახსენებ...
დიდი ხარ, პატარავ...
მეც ფარდებს დავუშვებ წყენის.
არეულ ფიქრებით შევკონე
ღრუბლიდან ნასხლეტი სხივი...
და როცა მეგონა... მემონე,
ზურგს მაქცევ...
ხმამაღლა ყვირი...
– რა ურცხვად ნაწერი ბწკარია,
რად არ იღლებიო ლექსით...
ე ს ს უ ლ ი სამყაროს შარია,
ე ს ქ ა ლ ი სამყაროს შეშლის.

* * *

ლექსო, რა დაგვრჩა სათქმელი...
ლექსო, რამდენი ვთქვათ.
არვინ აგვინთო სანთელი,
ბნელშიც ვერ ვიკვლევთ გზას...
შენც ჩემთან ერთად ჯახირობ,
ვერც შენ მისწორებ თვალებს...
იქნება გადამარჩინო...
ლექსო...
მითხარი რამე...

* * *

ჩემი ხარ...
მგონია ჩემი ხარ,
იქნებ არც...
და მაინც გჩემობ.
უღრუბლო ცისა ფერი ხარ,
თიბათვის
ნანატრი ჩერო.
ჩასეტყვილ ვენახის
ლერწი ხარ...
ავადობ...
მზის სხივად მიხმობ,
ერთი კი არა და
ბევრი ხარ,
და საით გიპოვო,
ვფიქრობ.

გედი ვარ...
მე შენი ბედი ვარ,
იქნებ ბედისწერის წერო...
არ მინდა ავმღერდე...
ვმღერივარ...
ვიცოცხლო?!
გიკვდები ჩემო...

* * *

„ეს მერამდენე დღეა...
და მერამდენე ღამე“,
სული აჯანყდა ისე
აღარ ეტევა დროში,
ვეღარც მზის სხივი ვკინძე,
და„ ვეღარც ნისლი ვთვალე.
ვეღარ დამდგარა ჟამი
ჯერაც უთქმელი ლოცვის.
გენიალურობს აზრი,
გული შეაკვდა ქვითინს...
ხან გრძნეული ვარ, ხანაც
ამ გრძნეულებას ვწყევლი.
საუკუნეებს გავცდი,
თუმცა უკუღმა ვითვლი.
კლეოპატრაა ჩემში, –
ნილოსის ტურფა გველი.
ისევ დრო, ისევ სივრცე
ვერა, ვერ ვპოვე და„ მღლის
ყოველდღიური ყოფის

ერთფეროვნების ჩრდილი,
ხან კურტიზანი ქალის
დროწაუშლელი დამღის,
ხან მათუსალას წლები,
ხანაც წამები ჩვილის.
ხან სერაფიტას ღიმილს
ვარდებად ვფანტავ ქარში,
რომ შევებრძოლო სიკვდილს,
„ზევახ, სიცოცხლევ, ჩემო“,
ღმერთო, რამდენი სული
ახლა ბობოქრობს ქალში,
მუზების უთქმელ ტკივილს
მე უსირცხვილოდ ვჩემობ.
ახლა სამია ღამის...
თურმე დავღლილვარ როგორ...
და რიჟრაამდე ისევ
შევეხიზნები წარსულს,
ხან „მზაკვარ კოლხი ქალის“,
ხან – უწყინარი გოგოს,
ხან „ათას ერთი ღამის“
ვნებამორეულ ასულს.
და... .რამდენს იტევს, ღმერთო...
ერთი უბრალო ქალი...
აბობოქრება სულის
მარადიულად დევნოს...
ვერგატეხილი ღამით
და პოეზიით მთვრალი...
ცრემლად იღვრება ლოცვით. –
არ შემყაროო დემონს.

ხან სერაფიტას ღიმილს
ვარდებად ვფანტავ ქარში,
რომ შევებრძოლო სიკვდილს...
„ზევახ, სიცოცხლევ ჩემო“,
ღმერთო... რამდენი სული
ახლა ბობოქრობს ქალში,
მუზების ღვთიურ ტკივილს
მე უსირცხვილოდ ვჩემობ.

* * *

მუზავ,
ნუ ამირევ არეულ გზებს,
მუზავ,
იქნებ რამე მიშველო.
ვერა, ვერ მოვწყვიტე
სხივი ვერც მზეს,
ვერც შენ მოგეფერე შვიდფერო.
მუზავ,
ჩემთან ერთად
აშარდი და
უღვთოდ გადათელე ოცნება,
სევდას გამაცილე, მადლიანო,
ღიმილს დამაჩინე კოცნებად.ვერხვის
ფოთოლივით
მაცახცახე...
აბა, განწირულს
რას მიშველი...
ზღაპრად გაიყოლე

ეს სიცხადე,
ოღონდ
სული შემრჩეს მზისფერი,
ოღონდ
სიყვარულით ამატირეთ,
მასვით ერთგულების ფიალა,
მერე
ნაღდი ცრემლით დამიტირეთ...
ისე... სხვათაშორის კი არა...
ვაი, გულზე
მათოვს იანვარი,
სულო,
ნუ ჩაკვდები, მზისფერო,
მუზავ,
შემიფარე გულგამწყრალი,
მუზავ,
იქნებ რამე მიშველო.

ია

იავ, თოვლის საბანს ნეტავ როგორ მოერიე,
შემოგევლე, უნაზესო ცისთვალავ.
ღმერთო ჩემო, რა ძალა აქვს ამ სუსტ იას,
მისმა ცქერამ დარდი გადამიყარა.
შენს მშვენებას ვინ გაექცეს თვალხატულავ,
გიჟმა მარტმაც მოფერება შეძლო.
როგორ მინდა, ჩაგეხუტო გულის ქულავ.
იავ, შენი სიყვარულით ვლექსობ...

მიითვალე... ჩემს ღიმილებს ყველას გითმობ,
ლურჯთვალებავ, კრძალვით ხელი გთხოვე...
მოდი ჩემთან, გიწილადო გულის სითბო,
მოდი... სანამ მზის სხივები მოვლენ.

* * *

ო, ქალბატონო,
გიღელავს გული,
მაინც რა გმართებს სევდა-ნაღველის.
გზა არის ახლა შენამდე რთული,
ხან დამრჩენი ხარ, ხანაც წამსვლელი.
მე შენი სახე ახლა მაკვირვებს,
სახე, რომელსაც ფერი აქვს სევდის.
ცხოვრებას თუ არ გაენაპირე,
ერთ დღესაც მისი სიშმაგე შეგშლის.
შენი თვალებიც მაკვირვებს ახლა,
ავაზისებრად აბრწყინებს გიშერს,
ნუ დააპირებ აწმყოთი დაღლას,
ზეცას ახედე... მზე ხელებს გიშვერს.
არა, რამდენი გინდოდა მაინც
საწუთროსაგან ბედ-იღბლის მითვლა,
მთვარის ჩურჩული, თუნდ ერთი ღამით,
ჰა და ჰა... ტრფობის ვარსკვლავთან მისვლა.
სულ ერთი სიტყვით გათბობა გულის,
(სიტყვა ალალი ვინ გაიმეტოს)
როცა ნატვრამდე გიკლავენ სურვილს,
იპოვი კი გზას, გზას საიმედოს?!

ო, ქალბატონო,
მე გაძლევ ნუგეშს...
მე, ისევ შენში მბორგავი სული,
მე აგიყვავებ ჰაუშლელ ნუშებს,
იგაზაფხულო... მოგიტან სურვილს.

მერე იმედებს აპრილით მოვრთავ...
(ო, ყველა სევდას დაუდგეს თვალი),
ალალ სტრიქონებს აღავლენ ლოცვად
“და პოეზიით იქნები მთვრალი...“
.....,,
ო, ღმერთო, ისევ ლექსი... სტრიქონი...
და შემოდგომის სველი მანტია...
პოეტის თვალში რა უნდა იმედს,
პოეტის თვალი სევდის სახლია.

მინდოდა მეთქვა

მინდოდა მეთქვა,
რომ ისევ გიჟობს მარტი,
რომ ქარი კივის... ო, რა მდუმარედ კივის,
არ შეშინდება ია, წამწამებს აშლის...
და ენძელები შემაგებებენ ღიმილს.
მინდოდა მეთქვა,
როგორ გაუძლოს გულმა
ასურვილებულ თეთრი ოცნების კვდომას,
ასე მგონია დღეს მე სამყაროს ვძულვარ,
ადრე მოვედი?! წავალ და ისევ მოვალ.
მოვალ და... ისევ ავიშრიალებ სულში
მზე-ბროწეულებს... დრო ხელის გულზე თრთის...
მე მდუმარებით ხმაურს ნეტავ რას ვუშლი?!
მინდოდა მეთქვა...
რომ ყველაფერი ვთქვი.

ეჰეი, მამულო

ეჰეი, მამულო, ალიონს შევეგებოთ,
შენს ნისლებს შევეკარ, სულში აგაყვავო...
ფეხზე წამოდექი, პირნათელო ბერო,
ტახტო ღმერთების და... ხანაც ნატახტარო.
ეჰეი, მამულო, შენი გული დამაქვს,
გულს გულით ვატარებ, არა, არ ვიღლები,
ერთგულ სხივებს ვეძებ... ეჰ, რა უნდა ღალატს,
შენთვის ვიცოცხლებ და,, შენვე მოგიკვდები,
ოღონდ იგუგუნოს კვლავ მცხეთის ზარებმა,
მირონი სდიოდეს ბაგრატს და გელათს...
შენი სიყვარული ისე მეძალება,
როგორ შეგეშველო, მითხარ, ჩემო ყველავ...
ეჰეი, მამულო, პირს ნუ ამარიდებ,
თორემ გავთავდები – უიმედო ფიქრი,
ჩემი გული იყოს შენი გულის რიდე...
„მუმლი მუხასაო“, ალბათ, ერთად ვიტყვით.
შენი ერთგულების ზღვა ვარ უნაპირო,
ჩემო სიწმინდევ და ჯვარო ვაზისაო,
ხან გვირგვინოსანო... ხან უდაბნოს მწირო,
ხან მზიანო ღამევ, სვეტო, ნათლისაო.
ეჰეი, მამულო, ალიონს შევეგებოთ,
შენს ნისლებს შევეკარ, სულში აგაყვავო...
ფეხზე წამოდექი, პირნათელო ბერო,
ტახტო მუხათა და მუხათ ნატახტარო.

* * *

ო, რა უცებ გამიავდრდა,
 მზე კოცნიდა ალუბლებს,
ხელისგულზე სული დადნა,
 ვაი, რომ ვერ გაუგეს.
ისე უცებ გამეცალა,
 ოჰ, ტკივილში დაიხრჩო,
მე რომ მისთვის არ მეცალა
 თურმე მზემდე გაივსო.
მერე მეტი ვეღარ შეძლო,
 დაიშალა ღრუბლებად,
ვაი, კვდება, ჩემო ღმერთო,
 ვეღარ გესალბუნება.
ოჰ, რა უცებ გამიავდრდა,
 მზე ცრემლებად იღვრება,
აედევნა აისს ლანდად
 ღამის შემობინდება.
ახლა უნდა დაგიტირო
 სულო, ჩემო ჩამქრალო...
სიცოცხლიდან სიკვდილამდე
 შე დღემიუსაფარო.

* * *

წაიღეთ!.. დაფლითეთ!.. ლექსები დაფლითეთ,
მერე კი სიყალბის ააწყვეთ ხუხულა,
ურითმო, ნარითმი, სუყველა გარითმეთ,
დე, მთებიც კი შეძრას თქვენი ხმის გრუხუნმა.
გაძარცვეთ სულები, გათელეთ მუზები,
ირბინეთ, ხელთა გაქვთ, ფინიშიც თქვენია,
რა ღმერთი გიწყრებათ, ხმაურით ვმუნჯდები,
ყოველი მეორე უნიჭო ბრძენია.

* * *

ზოგჯერ ცრემლით ვწერ,
ხმაურს იწყებს სუფთა ფურცელი...
ბევრი გითხარი და
რამდენი დამრჩა უთქმელი.
ეკლის გვირგვინი დავიხურე,
ვარდს ვინ მაღირსა,
დამიგვიანდა...
გაქრა წამი პაემანისა.
თავს ნაზად ვხრიდი ბილიკებზე
ვითარც პირიმზე,
სევდის ტალღები დამეფინა
სულის ღიმილზე.
ვინ დაინახა დასანახი...
ვინ შემიფარა?!
მთვარემ რამდეჯერ დაღონებით
ცრემლი მითვალა...

ვერ ავუფურცლე სიყვარული
ამაყ მაისებს,
თუ დამეკარგე...
ვინ მომიტანს ედელვაისებს?!
ზოგჯერ ცრემლით ვწერ,
ხმაურს იწყებს სუფთა ფურცელი...
ბევრი გითხარი და
რამდენი დამრჩა უთქმელი.

* * *

თიბათვის ღამევ, გახსენი გული,
შენი მითხარი, ჩემიც გაგანდო,
თუნდ იყოს უკვე ათასჯერ თქმული,
ღამევ, შენ მაინც არ მიღალატო.
მითხარი, როგორ მეძებდი გზნებით,
ცრემლით ავსებდი ჩემს ნატერფალებს,
სულ ბილიკ-ბილიკ აკინძე გზები...
როგორ მიშლიდი რიჟრაჟზე მკლავებს.
როგორ შეთხოვდი ცასა და მიწას
არგათენებას, იქნებ გენახე...
მითხარი ღამევ, რაიც არ გითქვამს,
ყველაფრისა და ყველას ჯინაზე.
რად დაჩოქილხარ დღეს ჩემს მუხლებთან,
და მთვარის ჩრდილში რატომ ცახცახებ,
რად მომაფრქვიე მზერა ღრუბლებად,
მეც ბინდისფერით რატომ ამავსე.
მითხარი ღამევ... თორემ მე გეტყვი,
სულშეხუთულის ჩახსენ საკინძე,

მე ვარ ათასი... და შენ ხარ ერთი,
ათასმეერთე კოცნა მაღირსე.

* * *

მზის სხივო, სად ხარ? იქნებ მიშველო,
სულ ცოტა, ცოტა სოთბოს დავეძებ,
გეძახი, მოდი, არ შეისვენო,
არ შემიცივო სულის სარეცელს.
არ შეგეშინდეს, ტრფობით აგავსებ,
თიბათვის თვეში თუნდაც გვათოვდეს,
სულს ამოვიღებ... და შენ ჩაგაცმევ.
არ შეგცივდება აღარასოდეს.

* * *

გუშინ მითხარი:
 გადავცურავო ზღვას,
დღეს შემომცინე –
 მე გამსგავსებო მზეს,
როგორ გითხრა და
 რაც არა მწამდა, მწამს...
მჯერა, დაცემულს შემომაშველებ ხელს.
რამე რომ იყოს
 გულით ატარებ ჩემს ჯვარს,
მისი სიმძიმე
 არ შეგაშინებს, მწამს...
არ შემიჩერებ
 გულის უნაზეს ფეთქვას,

არ ჩამიწყვიტავ
 შენსკენ მომავალ გზას.
და თუ კი მაინც...
 მაინც გაწყრება ღმერთი,
ღალატისფერი ღამე
 მოიკლავს წყურვილს,
არ მითხოვია
 ერთგულება-თქო, გეტყვი,
რომ შენ კი არა
კვლავ სიყვარული ტყუის.

პაემანი

შემოდგომამ დამინიშნა პაემანი,
მე აპრილში ყოჩივარდებს ვკრეფდი...
დავიბენი... და ამებნა გზა და კვალი,
შემეშველეთ, შეგეწევათ ღმერთი.
თიბათვის მზეს მზერა ჯერ არ დაუსიცხავს,
გვირილებიც არ ჩამიწნავს თმაში...
ალალბედად იქნებ ვინმემ რამე მითხრათ,
ცოტა სითბო გაურიოთ ხმაში.
შემოდგომამ პაემანი დამინიშნა,
სულს აპრილმა შემოხვია ხელი,
ნუ წახვალო... დაგიტოვებ კოცნას ნიშნად,
ჩემსავითო, შენ არავინ გელის.
შევაფეთე ცრემლიანი ჩემი მზერა,
მან ცრემლებით მომიბანა ცრემლი,
შემოდგომამ პაემანი დამინიშნა...
უარს ვამბობ და აპრილთან ვრჩები.

თიბათვის მზეს მზერა ჯერ არ დაუსიცხავს,
გვირილებიც არ ჩამიწნავს თმაში...
არსად წავალ, გაზაფხულო, შენს თავს ვფიცავ,
არსად წავალ და... პაემანს ჩავშლი.

* * *

გესაუბრები,
თუმც არ ხარ ჩემთან...
არც იქ ხარ, სადაც გნახე, გიპოვე,
მე ახლა სიტყვას ვაძლევ გასაქანს
და არცერთ სტრიქონს არ დავიტოვებ.
ვარდყვავილობის ხომ იდგა ჟამი,
ხომ გვქონდა რაღაც...
„ის“, – მარტო ჩვენი... –
აქ ძველებურად მაისი ყვავის,
ზეცად მახურავს ვარდების ჭერი.
აქ ბროწეულებს ედებათ ალი
იმ ცეცხლის, ჩვენ რომ გულებში გვენთო,
ჩემო მეუფევ, რადა ხარ მწყრალი,
სიყვარული კვლავ ჩემ ჭერქვეშ მეფობს.
ღამეა ახლა... და ვარსკვლავებით
მოჭორფლილ ზეცას შევავლე თვალი.
მთვარე კი, მთვარე, ო, სარკმელს მიღებს –
ჩემი გრძნობების ეული მგზავრი.
და ქალის მკერდზე ასხლეტილ სხივებს,
უბეში მალავს როგორც საუნჯეს,
მთვარე ჩემ ჭერქვეშ გადაიჩრდილებს,
ამ ღამით მთვარე გულზე დამიწვენს.

...და ეწვის მნათობს სხივები ისე,
ვით უდაბნოში მზე წვავს ქარავანს,
ალბათ, ოდესმე მოსვლას მაღირსებ
და შემოავლებ ჩემს სულს გალავანს.
მოვითქვა სული...
მე ვღელავ ახლა,
იქნება გითხრა რაც მაქვს სათქმელი.
დღეს უშენობა გულზე მაქვს დამღად,
ხვალის ხვალისგან ნეტავ რას ველი?!
მაგრამ, ო, არა...
არ მინდა ვგავდე
ამ შემოდგომით მოწყვეტილ ფოთოლს,
ქალი, რომელიც სიცოცხლეს აფრქვევს
და სიყვარულით ყოველ დღე ლოთობს.
თვალებს გაგებებ ტრფობით შენისლულს,
მოხვალ... არ მოხვალ... ფიქრი მამუნჯებს.
„შენ მერიდები როგორც შერისხულს,
და მიფრთხილდები როგორც საუნჯეს“.
გესაუბრები...
თუმც აქ არა ხარ,
არც იქ ხარ სადაც გნახე, გიპოვე,
აღარ ვკითხულობ: რატომ? სადა ხარ?
დღეს ყველა სტრიქონს ლოცვად გიტოვებ.

დამხატე

დამხატე, აიღე ფუნჯი და დამხატე...
გააგდე ხელიდან ეგ ბოლო ნამწვავიც.
ნუ მიცქერ დაღლილი, ახლავე დამხატე,
არც ისე მზისდარი, არც ასე გამწყრალი.
ამ ღამით გეძახი!..
ამ ღამემ დამათრო!
არ გესმის?! გაგრძელდეს ლოდინი სადამდე...
მინდა შენი სული ფერებით ავანთო,
არავის, არავის, არავის არ ჰგავდე.
დამხატე, ფერებში არიე სტრიქონი,
მუსიკის ჰანგებით გაჟღინთე პალიტრა,
გჯეროდეს ცის თაღზე იმ ფერსაც იპოვი,
ღამემ რომ დაკარგა ჯადოსნურ გამიდან.
დამხატე მუსიკის, სტრიქონის ნარევით
და ფერთა სინაზით ამივსე თვალები...
ნურაფერს ნუ ეძებ ჯერარქმნილს... ღვთაებრივს,
ღამე გწვავს? ამ ცეცხლსაც ნუ დაემალები.
დამხატე, ნუ მიცქერ ვნებით და მაცდურად,
ნურც ჩემი მკლავების სითეთრე გაგიჟებს.
დამხატე, ნუ მეტყვი, რომ ღამე გასრულდა.
ნუ ითვლი ჩემამდე არეულ ნაბიჯებს,
დამხატე, პერანგი ჩაცურდა მუხლებთან,
ამ ღამის ცისკართან შეყრისას დამხატე,
დამხატე უსიტყვოდ... და ასე უთქმელად.
სტრიქონით წავკიდოთ დღეს ცეცხლი ქაღალდებს.
დ ა მ ხ ა ტ ე . . .
რად გხედავ ჩემს ფერხთით დაცემულს,

და ცხელი ცრემლები მუხლებს რად მისველებს,
შენს თვალებს, შენს თვალებს ფერებით ანთებულს
ვხედავ და... „ო, ღმერთო, ო, ღმერთო გვიშველე“,
შენ სულში ჩამხატე... გრძნობებით, უფუნჯოდ...
გიცქერ და ცრემლებად ფითრდება ღაწვები.
რიჟრაჟზე ცის კაბას გავიხდი მოლურჯოს
და მხატვრის სევდიან თვალებში ჩავწვები.

ხვალ შემიყვარებ

შენს შარაზე დღეს უშენოდ დავყიალებ,
შენს ქუჩაზე ამერია ნაბიჯები,
მზის სადარო, ცის ნათებას აკრიალებ,
სულში ხარ და... უშენობით რად ვგიჟდები.
არ მოხვედი, მეც გავყევი ბილიკ-ბილიკ,
სული კივის... გთხოვ, სიჩუმე მაპატიო.
ვგრძნობ, დღეიდან ვერ დაიმჩნევს ბაგე
იმილს,
იქნებ იმედს შევეფეთო სახვალიოს.
შენს ქუჩაზე დღეს უშენო ღამე კრთება,
მთვარეც გლოვობს გზააბნეულ მგზავრს,
რომ ეტრფოდი... დღეს ის ქალი მოგიკვდება,
უფრო ძლიერ შეიყვარებ ხვალ.

* * *

წაიღეთ...
არ მინდა რაც ჩემად არ ფასობს...
ცრემლით და ტკივილით თვალებს არ ვიოსებ,
მარტო ვარ? გვერდს ვუვლი სიყვარულს გასაყოფს...
სხვისია? —
დე, იყოს, მე იქ არ ვილოცებ.

* * *

სულზე ფითრი მომედო
შენი სულის ფერი,
ყველაფერი დაიწყო
იმ დეკემბრის ღამეს,
როცა წელზე უეცრად
შემომხვიე ხელი
და ღრუბლებში შეტოპა
ალეწილმა მთვარემ.

ყველაფერი დაიწყო...
ო, არ ვიცი როგორ...
მხატვარივით დავეძებ
ასხივებულ ფერებს.
ქარში ამღერებული
კვლავ სულელი გოგო,
სურვილს, ურა კვიცივით
მზისკენ გააჭენებს.

მერე კვლავ ამღერდება,
(მიატოვებს გლოვას)
ერთხელ კიდევ მიწიდან
აფრინდება გედი,

ალბათ, მერე ითოვებს...
გადაიღებს თოვაც,
სადღაც ჩამოიქროლებს და...
მიგატოვებს ბედი.

ო, რა თავბრუდამხვევად
ალეწილხარ მთვარევ,
მაგ შენს სხივთა კონაში
ამებლანდა ფიქრი,
დღეს შავნაბადმოსხმული
ღამეც წაიმთვრალებს...
უჩემობის ყველა წუთს
ერთად გადაგითვლი.

არაფერი ყოფილა...
ყველაფერი არის,
თეთრყირმიზა სურვილებს
აამღერებს გედი,
სადღაც თოვა დაიწყო,
სადღაც გადაიღო...
სადღაც სურვილს გაუსწრო
ოცნებებმა მდედრის.

სულზე ფითრი მომედო
შენი სულის ფერი,
ყველაფერი დაიწყო
იმ დეკემბრის ღამეს,
როცა წელზე უეცრად
შემომხვიე ხელი
და ღრუბლებში შეტოპა
ალეწილმა მთვარემ.

* * *

ვკრეფდი პირიმზეებს,
და თავთუხები შენსკენ მომავალ მუხლებს
კოცნიდნენ,
მზის სხივად ვკინძე სითბო ულევი,
არ შეგაგებე გზაზე მოცილეს.
შემოგახვიე სულზე ნუგეშად
ჩემივე სულის თბილი სავანე...
მე უგულობა ყველა დღე მკლავდა,
შენ ორგულობით დამასამარე.

შორეული ფიქრი

ზღვაა მშვიდი, ისე მშვიდი... შუბლს უკოცნის
თოლიებს,
ცამაც თაღზე გადმოფინა მზის ნაქარგი ფარდები.
იაზონის დილის ფიქრებს ქარი აიყოლიებს
და შორეულ სამოთხის გზას გაჰყვნენ არგონავტები.

ძველ ელადას სისხლი უდუღს, ცეცხლს იტაცებს
პრომეთე,
აქ სიცოცხლე მოფრენილი მერცხლებივით ჟივჟივებს,
აიეტო, შენს სამეფოს ღრუბლის ქულად მოედვნენ,
დღეს არ იცი... ხვალ უთუოდ შენი გული იტირებს.

კოლხი ქალის სილამაზე თვალს უბნელებს ელინებს,
საქართველოვ, სულ გტაცებდნენ... ესეც ჩვენი ბედია,
ვერძის ტყავიც დღეს იაზონს სიკვდილს
გააბედინებს,

არ იჩქარო, უცხო მიწა მზეს წაგართმევს მედეა.

მაგრამ მაინც საამურე მკერდს იღეღავს ქალწული,
ქართველია, სად აქვს შიში სიყვარულის ისრების,
გულს დასეტყვავს უცხო ყრმაი, აიეტის ასულის,
მაგრამ ვაი, უცხო მიწა არვის ხვდება დიდებით.

...და მას მერე არგო ნაპირს ცრემლთა წვიმას
აწვიმებს,
მზე გაქრა და გგონიათ რომ ეს მზის სითავხედეა,
უცხო მხარე ვერ აგიფრენს ქართული ცის არწივებს,
ფესვებს მოწყდი და დაკარგე სიხარული მედეა.

არა, ვინ თქვა, ადვილია უცხო მიწის ხიზნობა,
იქ მამულის სადიდებლად რამ დალიოს სათქმელი.
მარიამის წილხვედრ მიწას ცვარი დადის მირონად,
მხოლოდ ქართულ ცისქვეშეთში თუ ქართველობს
ქართველი.

მიმოფანტული ლექსი

ღამე უნდა შემოვუშვა ჩემს სარკმელში,
ღამე ვითომ საიდუმლოს გათქვამს?!
ვარსკვლავთცრემლი შევაგროვო თბილი პეშვით,
მუზას ვანდობ ტყუილსა და მართალს.
ერთი სუნთქვით ამოთქმული ერთი ლექსი...
ზღაპრადქმნილი აპრილი და თოვა,
მუზაც წვალობს, დრო უშენოდ ისე კვნესის,
ალბათ, მალე დაიწყება გლოვა.
დღეს სულიდან ამოკინძულ ცისფერ სტროფებს,
ჩამოვწყვიტე სიყვარულის ბაფთა,

როგორც ქარი აცრემლებულ ყვითელ ფოთლებს.
მიმოვფანტავ შენი სახლის კართან.

* * *

მე დღეს ვტირივარ?! – არა!
წლები ტირიან ჩემში.
გუშინ რაც იყო კმარა,
ხვალის სიმუქე შემშლის.
ცრემლი, ტკივილი, სევდა...
ერთი ობოლი სითბო,
სიჩუმე ყვირილს ლეწდა,
წავალ, სიცოცხლეს გითმობ.
არ ამედევნო, არა...
ბედი სიცივეს მაცრის,
გუშინ მოვკვდი და კმარა,
ვგავარ ფრთებშეჭრილ არწივს.
თავისუფალს და ამაყს...
(სული კივის და მუნჯობს)
უფრთო სიცოცხლეს, ალბათ,
სულაც სიკვდილი უჯობს.

* * *

სულდაღლილი სული აფახულებს თვალებს
და ცხოვრებას მისდევს ვით უდაბნოს მწირი.
მას ყველა ღიმილი ცრემლად აუთვალეს,
არ ჩერდება, არა, ტირის, ტირის, ტირის.

ახლა ის დრო არის ამღერდეს და...
ეს სიმღერა ჰგავდეს ამღერებას გედის
შერისხული სული დუმს და... ყვირილს ითმენს?!
ამას ჰქვია ვიცი, ირონია ბედის.

* * *

დღეს ეს აისიც არ აფერადდა,
მთვარემ მიკოცნა ნაფეხურები,
ჩქარა, ამივსეთ სევდის ხელადა,
წვეთ-წვეთად მზესაც დავეპკურები.
რომ მზის გულიდან წამოსულ სხივებს
გამოვატანო ნაჟური სულის,
სადღაც... მეც ახლოს გადავიწვიმებ,
აწმყოს მოვწყდი და ტყვე ვარ წარსულის.
ყელს ჩამომწყვიტე ტრფობის კოლიე,
უშენო წამი სევდებს ათრთოლებს,
მე მიზეზ-მიზეზ ვერ შეგელიე,
შენ – უმიზეზოდ ცას შემატოვე.

* * *

შენი დარდი წავიკითხე ატირებულ ცაზე,
მთელი ღამე რომ მელოდი, მთვარეს გლეჯდი ვუალს,
ოცნებებით გადამფურცლე, მზეს ვეწვინე მკლავზე,
არსად წავალ, სულმნათობო, ისევ შენთან მოვალ.
მერე რა, რომ შეგატოვე აცრემლებულ ღამეს,
მერე რა, რომ აგირიე არეული ფიქრი,

მეც შენს სულში რიჟრაჟამდე ვარსკვლავები ვთვალე,
ახლა გწერ და ჩემს ნაფიქრალს წინ კარტივით
გიშლი.
ანთებული სანთლით ხელში გამოვყევი ლურჯ გზას,
ტრფობით სავსე მთვარის გული მინათებდა ბილიკს,
თუ ვერ მოვალ... არ გამიწყრე... ო, ეს ფიქრიც
მსუსხავს,
მე შენამდე ვერმოსული, მაინც შენსკენ ვივლი.

* * *

ახლა მინდა რომ დავწერო რამე,
კალამს ვაგდებ, მგონი გადავღალე.

მზე დავხატე, მზე დავხატე ურჩი
და... ხელიდან გამივარდა ფუნჯი.

სულით ვწნავდი ცისარტყელას ფერებს,
დამეფანტა, შენ ვერ შეიფერე.

ალუბლების ყვავილს ქარი აშლის
და ბავშვივით ავტირდები ქარში.

დამავი წყდა, რაღაც უნდა მეთქვა,
დამეკარგა შენი გულის ფეთქვა.

დავფრინავდი, ვერ ვიგუე ცოცვა,
შენთვის ვწერდი ჯერაც უთქმელ ლოცვას.

წუხელ, ასე ნახევარზე ორის,
სული დადნა ვით ცისფერი თოვლი.

ქარი ურჩად აწრიალებს ტირიფს,
ვერ ვშველი და მგონი მართლა ვტირი.

ზღვის ტალღებზე მზე მეფურად მოდის,
და დგას ქალი, შეჩვეული ლოდინს.

ეს რა ხმაა, თურმე მუზაც კვნესის,
დამეკარგა ჯერუთქმელი ლექსი.

მუსიკის ხმა სულში სანთლებს ანთებს
ერთად ვისმენთ უკანასკნელ ჰანგებს.

ზღვა ხმაურობს, სიტყვა არის მუნჯი,
ამ სიცოცხლეს მე დღეს სიკვდილს ვუსჯი.

* * *

მამულო, შენზე ფიქრი ღამეს მათევინებს,
რიჟრაჟს შემაგებებს ცრემლიანს,
გული, უგულოთა რამდენჯერ ვათელინეთ,
სისხლი დაგვიწვიმეს ლელიანს.

მანდილმოგლეჯილი ისევ შენ დაგეძებ,
ჩოქვით დამბზარვია მუხლები,
„მუმლი მუხასაო“ აღარსად მღერიან,
სულზე რად დავიდეთ ხუნდები.

ჩემი გელათი და ჩემი ნიკორწმინდა,
გმირთა ვერდამტევი ვარძია.
ქართულ ცას და მიწას ბედი მწარედ ცდიდა,
სიკვდილმა ჯოჯოხეთთან გვარწია.

მიღმა ნანგრევების სული დაწრიალებს,
ვერ ვპოვე, ვერ ვპოვე საშველი.
მზეო, ამოდი და ისევ ამზიანე

ქართულ ცისქვეშეთში ქართველი.

ჩემო ბედისწერავ, ვეცემი და ვდგები,
სიცოცხლით ვეწამლები, განმიკურნე, ღმერთო,
შენთვის მოვკვდები და ისევ გავცოცხლდები,
მამულო, შენზე ფიქრში კვლავ რომ
ჩავიღვენთო.

* * *

ფანჯრიდან გავცქერი
შეფიფქულ აკროპოლს,
ღრუბლები მიდიან...
თვალები დავხარე,
ცის იქით ცას ვხედავ,
ცრემლები ჰკიდია,
ვიხსენებ გელათს და
მზეხელქმნილ ვარძიას,
იყალთოს ფიქრიანს,
დროებას უიღბლოს,
სულ მცირეს იღბლიანს...
ცის იქით ცა მოსჩანს,,
ამ ცაზე ღვთისმშობლის
ცრემლები ჰკიდია.
დღეები მიდიან...

* * *

ღიმილები შევაგროვე გუშინ...
შენთვის, მისთვის, ცოტაც კიდევ ჩემთვის...

ახლა სევდა აღარ სახლობს გულში
და თუ არის... არ არის-თქო, გეტყვი.
სიცივეში ნაგროვები სითბო,
გავეცი და... ვერ გაიგეს ფასი.
როდი ვამბობ, – მე ვარ-მეთქი ხვითო,
მაგრამ სითბოს სიცივეზე არ ვცვლი...

* * *

მოდის წვიმა...
მოწყენილი დგას სახლის წინ
მაგნოლია,
მოდის წვიმა...
ცეკვით, თქეშით
და არაფრის გამგონეა.

მე ვიღიმი,
ნეტავ ახლა რაღა
მეღიმილებაო,
მომწყურდი და
ვერ გიპოვე,
ცაც ცრემლებად იღვრებაო.

მკლავებს გავშლი,
წვიმის წვეთებს,
სულს მძივებად ავუკინძავ.
ნუ ტირიხარ მაგნოლიავ,
არ დაგტოვებ,
შენს თავს ვფიცავ.

დავიბენი...
ცას გავყურებ,
წვიმა მაბნევს ტუჩზე
კოცნებს,
აქეთ სველი მაგნოლია
გულში მიკრავს,
მახვევს ფოთლებს.

რად არ ჩანხარ...
ყველგან გეძებ,
აღარაა დრო კვლავ
მოცდის,
შენს ნაფერებ-ნანატრ
თვალებს,
ახლა წვიმა დამიკოცნის.

მოდის წვიმა...
მოწყენილი დგას სახლის წინ
მაგნოლია,
ალბათ, მოხვალ გაზაფხულზე,
დამივიწყო, - არ მგონია.

* * *

...იფრინოს სულმა სტრიქონების ჯადოსნურ სამყაროში, მიეცი მას თავისუფლება, აამღელვარე გული და გააშიშვლე ის ემოციები ულევ ნაკადად რომ მოედინება შენში. დამერწმუნე, შენი თვალები მხოლოდ

მშვენიერებას დაინახავენ სამყაროში და სამყაროც ვერ იხილავს შენს თვალებზე მშვენიერ თვალებს...

* * *

– რა უგულო ხარო, – მითხრა.
მოვიხედე,
– მე? – ვკითხე.
– ჰო, – თავი დახარა.
უეცრად გულზე დავიდე ხელი,
ბუდიდან გადმოვარდნილი ბარტყივით
ფრთხიალებდა.

* * *

– მე იგი მიყვარს!
ვგრძნობ, მიხარია.
ღამე დღეს ეტრფის,
გარეთ ქარია,
– ელოდი დიდხანს?
– ვიპოვე გვიან,
– იწვიმებს?
– არა, ხვალაც დარია.
ნოემბრის ღამე,
ბუხარი, ალი...
ნეტავ ეს ცეცხლი რამ გადარია?!
ფანჯარა, მთვარე,
და მწველი მზერა
კვლავ შევაგებე ზეცას, ხალიანს.

ახლა მე გკითხავ:
– შენ იგი გიყვარს?
– მიყვარს და როგორ...
დასაწყისიდან დასასრულამდე
მე რომ ვეძებდი
ეს ის ქალია!
დუმილი...
ვუსმენთ გულების ჩურჩულს,
გულებს კი ჩვენთვის არა სცალიათ.
....და იწვის ღამე.
გარეთ კი...
გარეთ ისევ ქარია.

* * *

მინდა მზე ვიყო...
შენ – უდაბნოს მგზავრი, ეული.
გწვავდე და მაინც მიღიმოდე
დაღლილი მზერით...
ღონემიხდილი მიბარბაცებ
ვით მთვარეული,
და შენს შემყურეს
მზესაც გულში ეღვრება ცრემლი.
და მე – მზე, შენთვის
ავუჯანყდე სამყაროს სუნთქვას,
სხივები შევკრა,
შენზე ფიქრი ისევ ქარბუქობს.
ცასა და მიწას დავუჩოქო,
ბოდიში ვუთხრა,

უცებ ავტირდე და...
ცრემლების წვიმით გაგლუმპო.

* * *

შემოდგომა ნელა-ნელა
ფურცელ-ფურცელ მიდის...
მე კი ვეღარ მოვასწარი
მეღიმილა ვარდებთან...
გვირილებიც გამებუტნენ:
– მოვალთ კიდევ როდის?
ჰოდა, ფიქრიც
მითვალთვალებს,
ყველაფერი ამებნა.
.....
ნეტავ რაღა დაემართა
ამ მტირალა ტირიფს...
დგას და
ისიც არ იღლება,
ტირის... ტირის... ტირის...

* * *

ეკლესია თავად უნდა იყოს ადამიანი – რომლის გულში მუდამ უნდა ენთოს სიყვარულად და სათნოებად მოლიცლიცე სანთლები..,

* * *

მიყვარს სულში გაჩენილი ნისლი მხოლოდ სილამაზედ რომ გარდაისახება, იასამანში რომ ატირდება, მზის სხივად რომ მოგედება, ნაკადულად რომ არაკრაკდება, „ნებიერას“ თვალებიდან რომ იმზირება, გვირილებად რომ მოედება სამყაროს და უკვე აღარ იცი – სამყაროში გაიფანტა შენი სული თუ... სამყარო დაიტიე თავად.

* * *

ატმისფერად განათდა დღე-ღამის გასაყარი,
გაბუტული ღრუბელი ცრემლით თვალებს ისველებს,
სული გამითავხედდა, – შენი ფიქრის საყდარი,
შენივ სულის ნაწილი, შენთან ჩამოისვენებს.

* * *

მე წავალ ახლა, თეთრ ოცნებებს მზე დავუხატო,
– გიყვარვარ? იქნებ შეგიყვარდე? ანდა გიყვარდი?.,
არ მწამს ტაძარი უსინათლო, სული უხატო,
არც გულსმიკრული უსისხლფერო თეთრი მიხაკი.

* * *

ისე ლამაზად
შემოგაფეთებ
გზაზე ჩემს
დუმილს...
რომ სულმა შენმა
ვერ იპოვოს სიმშვიდის ჩერო...
მე ის ქალი
ვარ,
ოცნებებშიც
რომ გიფრთხობს სურვილს,
გულში რომ გყავს და
გულს გარეთაც
ეძებ და ჩემობ.

* * *

სხვა სამყაროა იმ ზღვარს მიღმა, ჩვენ რომ ვიჩემებთ,
გრძნობებს რომ ცამდე ვამზიანებთ, ნანინანატრო.
ახლა წავალ და... (შენ ამ წასვლას არ დაიჯერებ)
თავიდან პოვნის სიხარული რომ მოგანატრო.

* * *

ახლა ეს სამყარო ისე აირია,
ღრუბლებმა მომტაცეს ბავშვური ფიქრები,
რატომღაც, ძვირფასო, მზე მინდა ლურჯი და...
ზღვა? – ზღვა იყოს მზესავით ყვითელი.

* * *

ქარი ასკდება აცრემლებულ, ნაწვიმარ ფანჯრებს
და ღამე ჩემი თვალებიდან სევდას იპარავს,
ტუჩზე შერჩენილ უთქმელ სიტყვას ვუტოვებ
სათქმელს,
კვლავ სადღაც კვნესის სიმჩამწყდარი, ძველი გიტარა.

გზის განაპირას ჩუმად ტირის სველი ტირიფი,
დღეს გული ჩემი, ძირს დავარდნილ ბარტყივით
თრთოდა,
ალალ ცრემლს ვითხოვ... გადაგიცვლით ათას
ღიმილში,
იქნებ ამ აისს ჩამავალ მზის სიმუქე სჯობდა.

გადახლეჩიათ ბროწეულებს სიმწიფით ბაგე
და წვეთ-წვეთობით მეწურება სამსალა სულში,
ვეღარ გამოვჭრი პოეზიის ათასფერ თარგებს,
ამ გაზაფხულზე დამიტირებს თვალცრემლა ნუში.

ქარი ასკდება აცრემლებულ, ნაწვიმარ ფანჯრებს,
და ღამე ჩემი თვალებიდან სევდას იპარავს,
ტუჩზე შერჩენილ უთქმელ სიტყვას ვუტოვებ
სათქმელს,
ლექსს აატირებს სიმჩამწყდარი, ძველი გიტარა.

* * *

სევდას დაუფარავს, სევდას დაუცვარავს ქალის
ვარდბაგენი, მწიფე გოლეული,
აღარც სიყვარული, აღარც სიძულვილი, აღარც
მახლობელი და არც შორეული.
აღარც ცრემლია და აღარც ღიმილები, არ ჩანს სავსე
მთვარე და არც მილეული.
წყაროვ, ნუ ხმაურობ, შენში აფერმკრთალდა და
მესაუბრება ჩემი ორეული.

* * *

მითხარი რამეო...
ჩანაცრდა ეს ღამეც...
მთვარე ვარსკვლავთ ღალატს მოთქვამს,
მოუკვდეს პატრონი,
გული ვერდამცხრალი
მძიმე სასჯელივით მომაქვს.
ენას რომ გირყვნიან,
ჯილაგს გიგინებენ,
მზის სხივს რომ გტაცებენ ურცხვად,
მეგობრად მოსული
მტრის ჩრდილს რომ განატრებს,
მზიანი დღეებიც გსუსხავს.
მითხარი რამეო, –
დუმილით ვყვირივარ...
ამ ხმაზე ზანზარებს მთებიც,
გშორდებით, გშორდებით,
მივდივარ, მივდივარ,

ზ ღ ვ ა –
წვეთის წყურვილით ვკვდები.

* * *

წავიდეთ, უტა,
ქარაფები გადავიაროთ,
გადავუქროლოთ ცრემლნაწვიმარ,
ნატანჯ ცხოვრებას
და ცაში შევკრათ
სიყვარულის ნაზი ირაო...
შენს მოჭრილ მკლავზე
სიკვდილს ნატრობს
შენი შორენა.

* * *

შენი –ატლას-ხავერდები
ოქროს ძაფით ნაქარგ-ჭრილი,
ჩემი – ბევრი არაფერი
კაბა რამე, ჩითის, ჭრელი.
შენი – მზე და
ჩემი – მხოლოდ
მზის გულიდან ერთი სხივი,
სიტყვებს შედევრებად აქცევ,
მე – ისე რა, ჩემს დარდს ვჩივი.
აქეთ – მეფის გვირგვინი და
იქეთ – დედოფლობის ჟინი,
მასკარადი, მასკარადი,

ყრუ კედელთან ვინმე მწირი.
ტაში, კმაყოფილი ბრბო და
ხმა ორკესტრის, რანო... რინო...
ფარდის მიღმა დარჩენილი
სიმჩამწყდარი ვიოლინო.
.....
შენი – ატლას-ხავერდები
ოქროს ძაფით ნაქარგ-ჭრილი,
ჩემი?! – ბევრი არაფერი,
კაბა რამე, ჩითის, ჭრელი.

მოდის ღამე

მოდის ღამე, ბინდი მოსავს თვალსაწიერს,
მოდის ღამე, რომ მიამბოს რამე შენზე...
ამ ფიქრის ზღვას თუ ოდესმე გავაღწიე,
გათენებას, ალბათ, ჩემო, ისევ შევძლებ.
მთვარეს სხივზე დაუგორდა ცრემლის წვეთი,
ვარსკვლავებიც თავდახრილნი მდუმარებენ,
ბილიკს მისდევს ქალი როგორც სიკვდილს გედი,
ბედისწერა დღეს ორივეს აამღერებს.
ქალი... გედი... და სურვილი ცაში აჭრის,
ერთგულებით ორგულობა გადაფარცხეს,
ქალი სულს და გედი ფრთებს დღეს თუ ვერ
გაშლის,
ბედისწერა ისევ მიწას დაანარცხებს.
ჩვენ ორივე მართალი ვართ, სულის მზეო,
გულდაჭრილი სიყვარული წუთებს ითვლის,
ჰა, ფიალა, მიდი, შხამით გადამივსე,

ვინ დაეძებს დამნაშავედ დღეს ვინ ითქმის.
სულგანწირულ გედის ძახილს ხმას ვაგებებ,
ქალი... გედი... და სიკვდილის სილაჟვარდე,
უკვდავებას სიყვარულთან შემაგებე,
მივდივარ და... .არ დაღონდე, თუ გიყვარდე.

* * *

მერე რა რომ დღეს თვალები გამიავდრე დილიდან,
სიყვარულის ,,მზე პირს იბანს", ჰოდა, მიტომ
გაწვიმდა,
მერე რა, რომ ყველა წყენა მოგონებებს ითვლიდა,
და ღრუბელი უნებლიედ სულზე სევდას მაცრიდა.
მერე რა, თუ ეს ტკბილ-მწარე სიყვარულის ფერები
ხან ნაცრისფრად ჩამოქსოვე, ხან მზეს მიგებ
ფარდაგად,
მერე რა თუ დღეს კვლავ გეძებ, გუშინ მღლიდი
ფერებით,
სიყვარულსაც აცრემლება უყვარს თურმე ხანდახან...
ნუ მატკენო,,გული ფრთხილად, აქ, ჩემს გულში
დატოვე,
დატოვე და... ჩემს ლანდს ეძებ კვლავ დილიდან
ღამემდი,
თიბათვეში მზისებრ მწვავ და უცებ სულზე
მათოვებ...
სხვანაირს ხომ, ჩემო ყველავ, ვერც მე შეგიყვარებდი.

* * *

რამდენი წელი მე შენს ფიქრებს დავეძებ ზღვასთან,
ისე, ვით ქარში წვიმის წვეთი დაეძებს გოგოს...
გეძებ და... როცა ვრწმუნდები რომ აღარსად ჩანხარ,
მზე სულში მინგრევს შენთვის შექმნილ უმანკო
გოდოლს.
შენ ხარ სამყარო... სამყარო კი ერთია ჩემთვის,
გეძახი, გედის ამღერებით მელევა სული,
დამაქვს ეს გული უკანასკნელ, ჯვარცმული
ფეთქვით,
შენა ხარ შვილი... დედა... სატრფო... ჩემი მამული.

* * *

დღეს არის თუ
ხვალ იქნება?
იქნებ იყო უკვე გუშინ?
ჩემი ფიქრი შენსას სდევდა,
გულში აგიყვავე ნუში.
შენ რომ მეძებ,
მე რომ გიხმობ,
ნეტავ, ამით ვის რას ვუშლით?
როგორ მინდა,
როგორ მინდა,
მზე რომ ჩავიტიო გულში.

* * *

აპრილი მირთავს აივანს
ზამბახისფერი ფიქრით,
ჯერ არაფერი არ მითქვამს,
სიტყვა სათქმელი მიცდის.
წყაროსთავს ჩამოვისვენე,
სევდის ნაჟურს ვსვამ ერთობ,
ტატოს მერანის თვალები,
რად შემაფეთე ღმერთო.

* * *

გამშორდი ლექსო, ნუ მაღონებ, ნუ მთხოვ შენდობას,
ჩემი გზა სხვაა, შენი კიდევ მიქარგ-მოქარგეს,
იქნებ ბედია, ანდა იქნებ კვლავ უბედობა,
გამშორდი ლექსო, იქნებ სულის ტანჯვა მოთავდეს.
გაინაპირე, ჭრელა-ჭრელა მოგხვიეს ბაფთა,
ლექსო, თქმულო და ჯერართქმულო, ვერ გიშეგირდე,
ვერ გაკეკლუცე... მთვარეულის ბარბაცით დავალ,
უშენობა და უგულობა, ლექსო, შემინდე.

* * *

წავედი, ჩემო, რადგან ძნელია გრძნობას სასახლე ვერ ავუშენო...
როგორ შეხვდები უჩემო დილას, როგორ ვიცოცხლებ ნეტავ უშენოდ?!

* * *

დიდი ოხერი რამ არის ეს მუზა, თავს დაგავიწყებს, სიყვარულივით შემოგეხვევა სულზე, ხმამაღლა ამოგათქმევინებს, ცრემლებს შემოგისევს ისე ლამაზად, არც ცრემლი დაგეთმობა სტრიქონებად ჩამოქნილ სიტყვებს ლექსად გაქცევინებს... მერე კი ისე ძალიან შეგაყვარებს, ისე ძალიან... თავად ნაწილდები თითქოს სტრიქონებად... ასე ხდება მარადიულად. ლექსი კი სიყვარულს არ გპატიობს და... არც ის არის გასაკვირი პოეზიით გალეშილს თუ მიგაგდებს ერთ დღეს ღია სარკმელთან... დიდი ოხერი რამ არის ეს მუზა... მაინც ვერდასათმობი.

* * *

რისიც არ მინდა დანახვა ნუ შემაგებებთ გზაზე,
ისედაც ბევრის მნახველი სევდით მივყვები
ფერდობს... .
თვალებს ვარიდებ... ყველა დღე, ტყუილში ჩამხრჩვალ
წამებს,
ნუ შემახედებთ, არ მინდა... ნუ გამიმეტებ, ღმერთო.

* * *

წადი... შორს წადი... ზეცას აცდი კაბის შრიალით,
ვით შორეული მოლანდება ხსოვნაში დარჩი...
დღეს შენს ბილიკებს უსასრულო კაეშნით აწვიმს,
ხვალ მის ბილიკზე სინანულებს იებად აშლი...

* * *

ჩემთან ყველაფერი ადვილია,
შენთან ყველა წუთი დარდად თოვს,
შენი გული თურმე დაღლილია,
ჩემი ისევ უძლებს მარათონს.
შენი ოცნებები ჩამოიმსხვრა,
ჩემი ცამდეც კი არ ასულა.
გრძნობა უმზეობამ ჩამონისლა,
მოსვლას ელოდი და... წასულა.

* * *

ოცნებას მკაცრად მივუგდებ სათქმელს
და შენზე ფიქრებს ღრუბლებად ავშლი.
დღეს მზეც ატირდა... და ღამეს ათევს
ბედთან დასჯილი მზისგულა ბავშვი.
ჩემი ცრემლები რიჟრაჟს დაეცა,
ნამად მოჰფინა სევდა სამყაროს,
ვიღაცამ ჩემი მზერა გალექსა,
ხვალ იქნებ ჩემი ფიქრიც დათვალოს...
ან რა მინდოდა, ან ვის ვუჩივი...
უღვთო ტკივილით გული ვიღონე.

აღარ ვიქნები დღეს მე გულჩვილი,
მხოლოდ სიმშვიდეს გამოვიგონებ.

* * *

რად მეცოდები, ნეტავ, ნარჩიტავ,
რად მობუზულხარ საკუთარ ფრთებქვეშ...
მაინც და მმაინც შენთვის აცივდა?!
ქარი გიგროვებს გაფანტულ ლექსებს...
ბროწეულის ხის ხარ ბინადარი,
და შენში მუდამ ბავშვობა გალობს,
ვერსად ვერ ჰპოვე სულის საყდარი,
რად გიწყრებიან... გულგაუმწყრალო.
შენი ხმა შენში ჩუმად ხმაურობს
და იღვიძებენ ბროწეულები,
ახლა დემონიც ლექსად საუბრობს...
უფლის სიტყვაა შენში ულევი.
...და მაინც ასე რად მობუზულხარ,
რად გაჩხერიხარ ყელში სამყაროს?
მე სიყვარულით დღეს ისე მძულხარ,
იქნებ შევძლო და დროში წაგშალო...
.....
დროში, რომელსაც არა აქვს ფერი,
სიტყვაც ჯახირობს... სათუთი... წრფელი...

* * *

მე შენი შიში მაშინებს ახლა
თორემ საკუთარს გადავეჩვიე,
დღეს ჩემს ოცნებებს სიმუქე ახლავთ,
დარდმა დამტოვა, მე კი ვეწვიე...
და ვდგავარ ახლა ამ შეშლილ ქარში,
ისე ამაყად... ჯავრი ვიყარე,
ამ ამაყ მზერას შენს სულში ავშლი,
მერე ვერასდროს გადამიყვარებ...

* * *

მიხურეთ კარი... დამტოვეთ მარტო...
ველარ მართობენ თეთრი ვერხვები...
ეს შავი ღვინოც გადადგით, დავთმობ...
დღეს პოეზიით გავილეშები...

* * *

ცოტა ისეთი ვარ... არეული,
მარტის ამინდივით გულაშარა,
დღისით დავალ როგორც მთვარეული,
სხივით გადახვეტა მზემაც შარა.
ჰოდა, მივუყვები მარტოდ-მარტო,
ქარი შემაგებებს ატმის ყვავილს,
მე შენმა თითებმა გადამფურცლა,
ხელში გაკვდებოდა ყველა ბწკარი.
რა უცებ გაავდრდა,
ცა იკვრება...
მინდოდა ქართან მაინც დავღლილიყავ,
ატმის ყვავილებიც სადღაც ქრება...
უკვე ვერ გიხსენებ
თუ ვინ იყავ...
მანტია მოვისხი სიამაყის,
არადა მშვენოდა ჩითის კაბა,
მსუბუქი და ლურჯი იასავით
მზის სხივზე გავფინე და... დამეკარგა.
ჰოდა, სიამაყე შემოვიცვი,
ჩემში სიამაყეს აღარ გავდა,
მზეო, დამიბრუნე, აქვე გიცდი...
ჩემი იისფერი, ჩითის კაბა.

* * *

ახლა უნდა ვწერო
მთვარის მიმქრალ შუქზე,
ფიქრო, გამეცალე,
გამიჩუმდი...
აღარ შევერევით ღამის ქუჩებს
შენ ასე კარგი და... მე – ასე ცუდი.
შენთვის დამითმია
ყველა გაზაფხული,
მე კი შემოვიცვამ
ტანზე ზამთარს,
შენ ასე მარტივი და
მე კი ასე რთული
კეთილად აგისრულებ ყველა ზრაპარს.
ზღაპარს,
რომელსაც არა აქვს დასასრული,
ნეტავ დასაწყისი ჰქონდა?!
რატომ შემომცქერი ასე დაზაფრული,
სული ამ სიჩუმით მოთქვამს.
სადღაც ქარიც კივის...
ღრუბელს გაულუმპავს
მისი სევდისფერი კაბა,
შენ კი, რაღა ახლა,
რაღა ახლა დუმხარ...
ნუთუ, მონატრებაც გაქრა?!
ქარო არ იტირო,
ქარო შემეშველე,
ვპოულობ და... ისევ ვკარგავ...

შენთვის გამოვტყუებ
ცისარტყელას ფერებს,
მზის სხივით მოგიქარგავ კაბას...
ოღონდ ჩაიქროლე
ფერთა სილურჯეში...
აშარო, დარდისფერი ამბით,
როგორ დამეკარგა
ღამის სიმუქეში...
ასეთ ცუდს,
ისეთი კარგი.

* * *

რიჟრაჟს ცვარი აჩენს კოცნას,
მე კი... ველოდები ღამეს...
მწუხრის შემომესმა ლოცვა,
ვნებით შემომხედა მთვარემ.

მოდი...
ჩქარა მოდი, ჩემო,
ღიად დაგიტოვებ კარებს,
ვეტყვი: – ჩემია და ვჩემობ, –
სოფლის ჭორიკანა ქალებს.

დარდით დამენისლა ბწკარი,
რული არ ედება თვალებს...
მოდი... შემოაღე კარი
თორემ მოგიხურავს მთვარე.

* * *

მოდი გაზაფხულო...
შე უღმერთოვ,
მოდი, შემომხვიე ხელი,
ერთხელ მაინც უნდა შემოგბედო,
ფიქრი გაგიმხილო ძველი.
მოდი, გამიცვალე ზამთრის ფერში
ფერი აყვავებულ ატმის,
თორემ უშენობას დროში შევრჩი,
(დროს ვინ დამიბრუნებს განვლილს?!)
მოდი გაზაფხულო,
მომეფერე...
მცივა,
მომახურე სული...
ზღვაში დაკარგული მე ვარ ღელე,
ჩაშლილ გვირილების წნული...
მოდი გაზაფხულო,
შე უღმერთოვ...
ფიქრით ბავშვობიდან მოგდევ,
იქნებ სიყვარულიც შემაფეთო,
მერე... სიხარულით მოვკვდე.

მოდი გაზაფხულო,
შე უღმერთოვ...

* * *

რა მოხდა,
ღიმილს რად მიცრემლებ...
მზერით რად მიფითრებ ტუჩებს.
შენამდე მოვედი...
მიშველე,
სად ვდიო არეულ ქუჩებს.
დაღლილი
შენს გვერდით ვიჩრდილებ,
ზურგს მაქცევ,
გიწყრება ღმერთი...
მითხარი
რაისთვის მიწყინე,
ცის თაღზე ოცნებებს ვკრეფდი.
მერე სტრიქონებად
ვაფრქვიე...
ჩუმდები,
დუმილი გიჯობს.
ეს ღამეც შენს გამო ვათიე,
რა მოხდა?! –
მ ი ყ ვ ა რ ხ ა რ ბიჭო.

* * *

მე შენი ცრემლები, ჩემო პატრიარქო,
გულში აალებულ ცეცხლად ჩამეღვარა,
ნეტავ როგორ შევძლო, ახლა რა გიამბო...
სათქმელიც რამდენია,, სიტყვაც გამეცალა.
არადა მინდოდა რამე დამეწერა,
ჯანიც კი გავარდეს, კალამიც აღარ კალმობს,
შენი წმინდა ცრემლი სულზე დამეცრემლა,
ჩემო პატრიარქო...
საქართველოს ჯვარო. შენი მადლი ათბობს
ივერიის ნისლებს,
შენი ლოცვით დავალთ,
ბნელი ვეღარ გვაკრთობს...
მოვალთ შორეთიდან,
სულს იმედით გვივსებ...
კალთა დაგიკოცნოთ, ჩემო პატრიარქო.

ზვიადს

ვის ვაპატიეთ...
ან შენ ვინღა გაპატიებდა,
სიყვარულისთვის ჩრდილში
ვკლავდით ყველა გულიანს...
საწუთრომ თავის
ერთგულებით დაგაიმედა,
და სატევარი ზურგში ჩაგცა
მიპარვით, ზვიად!
არადა გულში, შენ სამშობლო
გენთო სანთლებად,
გწვავდა... უჩუმრად, მაინც
მასთან ერთად იწვოდი,
გზა და გზა ფარდაგს
თურმე შენს წინ ეშმა აგებდა,
ცრემლით იესოს გზას მისდევდი,
და ერს ლოცავდი!
ზვიად მთების შვილს,
ვერ აგუებს ვერვინ მონობას,
თავისუფლების გამო იკლავს
თავსაც არწივი,
ქვეყნის ტკივილი
ზვიად, შენი მხრებით მოგქონდა,
შემეშველონო, „მგლის ლეკვები“,
უკვე დაზრდილნი.
ჩვენ ილიაც მოვკალით,
ბაზალეთიც გავწირეთ...

ეჰ, მამულის სიმშვიდე
რამდენ ტკივილს იტევდა,
სიკეთისთვის იესო
ჯვარს გაკრული ავზიდეთ,
საქართველოს სიყვარულს
შენ ვინ გაპატიებდა!

* * *

შენ მარცვალ-მარცვალ დაეძებ საკენკს,
მან მარგალიტი აბნია უკვე...
აკმიე მხოლოდ, ღმერთი არ გაწყრეს,
ის არ მოიმკო, რაც არა გსურდეს.
ყველას გზა სადღაც მიდის და წყდება,
შენი ბილიკის ეძებე კვალი,
ძნელია შეძლო ახლის დაწყება,
ადვილი... ვარდის მოწყვეტა არი.
ვარდის, რომელიც შენ არ დაგირგავს,
სულის სიღრმიდან არ უხარია,
კითხულობ ახლა, გინდა... არ გინდა...
გარეთ კი ისევ სველი ქარია.
ქარი, რომელიც მიმოყრის ფურცლებს...
ქარი რომელიც კარს შემოგლიჯავს,
ღმერთი არ გაწყრეს, არ გაწყრეს უცებ
და ეს სიტყვები არ გექცეს ხინჯად.
აბრდღვიალებულ მაისის ღამეს
ნუ შემოახევ ვარსკვლავთ არშიას...
რიჟრაჟი როცა გადაშლის მკლავებს...
ვერ ჰპოვებ... რაც არ დაგიკარგია.

და...
ძნელი არის ეძებო მერე,
სხვის ბაღში სიტყვის აფერადება...
შე დალოცვილო, მიდი და წერე
თუ სულში ღამის მზე არ ჩაწყდება.

სტრიქონში ზოგჯერ უკვდავობს წამი,
ლექსში კი, ზოგჯერ, წამიც წამდება.

* * *

ბევრჯერ გაითელა რწმენის ბილიკები,
ბევრჯერ მივედი და ბევრჯერ მივატოვე.
ჩუმად თავდახრილნი დგანან ტირიფები,
იქვე, შორე-ახლოს ცრემლს ღვრის სიმარტოვე.

* * *

მომნატრებიხარ,
ისე უღვთოდ მომნატრებიხარ,
გადავიწყება მგონი უკვე
არის გვიანი,
ამ სიმუქეში გამინათდი,
მზე – მზისფერი ხარ,
გული მოგეცი,
განა სიტყვა
ქ ა რ ა გ მ ი ა ნ ი.

* * *

არაფერი ყველაფერი იყო,
ყველაფერი არაფერი გახდა,
ფიქრად
მკერდში ცხელი გული
გენთო,
სიცხადეში ცივგულობით
ახდა,
არაფერზე აღარ მინდა
ფიქრი,
ვგრძნობ რომ
გულში სევდა ჩამისახლდა,

* * *

აფეთქებულან ატმის კვირტები,
ვერ მიპოვია გზა,
მომენატრე და შენთან მოვედი,
ნუ მომიხურავ კარს.
თორემ იებიც
ჩამოჭკნებიან,
არ დაგრიხიან თავს,
გაზაფხულსაც არ
მოგანატრებენ,
ასე იყრიან ჯავრს.

* * *

გუშინ იყო და
დღეს აღარ არის...
ან იქნებ მართლა იყო აღარა...
ო, ისე მტკივა ეს უშენობა,
ტანზე ტკივილად გამომაყარა.

* * *

გზის განაპირას ჩუმად ტირის სველი ტირიფი,
დღეს გული ჩემი, ძირს დავარდნილ
არტყივით თრთოდა,
ალალ ცრემლს ვითხოვ... გადაგიცვლით ათას
ღიმილში,
იქნებ ამ აისს ჩამავალ მზის სიმუქე სჯობდა.

მესურვილები

გესმის ძახილი?
შეჩერდი...
რომ მოვითქვა სული,
თორემ გრძნობებმა
სულ ჩაწყვიტეს გულისპირები,
ამ მონატრებას...
შენთან ყოფნის აქვს დასასრული?!
მოდი,
მომხედე თვალისჩინო,
მესურვილები,
თორემ ერთ დღესაც
გაგიმეტებ ამურ-საისრედ...
ვიდრე გონს მოხვალ,
ცის ცრემლები შემოგაყარო...
მოდი,
ზამთარი კიდევ ერთხელ ამიმაისე,
ვით ვარდმა ბულბულს,
თავი უღვთოდ შემოგაყვარო.
მერე გაგექცე,
შენ ეძებდე ჩემს ნატერფალებს,
მერე ღიმილი გაგეფანტოს
მთების სანისლედ,
და გონდაკარგულ...
სიმთვრალისგან არეულ თვალებს,
იცოდე, არც მე შევიბრალებ...
არ ვისაკლისებ.
გესმის ძახილი?

შეჩერდი
რომ მოვითქვა სული...
თორემ გრძნობებმა
სულ ჩაწყვიტეს
გულისპირები,
ამ მონატრებას...
შენთან ყოფნის,
აქვს დასასრული?!
მოდი,
მომხედე თვალისჩინო,
მ ე ს უ რ ვ ი ლ ე ბ ი.

სარჩევი

სულის ცისფერი მუსიკა 3
* * *არ ვიცი გუშინ როგორ დაღამდა 8
ქალი ვარ და 9
* * *შენ რომ სევდა ჩამიბნიე თმებში 11
სულს შემოენატრეთ. 12
* * *შვლის ნუკრს ვეძებ 13
მარიტა 14
* * *დაღლილი მზე ჩემს სარკმელთან შეჩერდა, 15
* * *წლები ვაგროვე... სად არ ვიარე 15
მ უ ზ ა 16
ჯარჯი და დემეტრე დაიაურებს 17
* * *ვფიქრობ... ამდენი სათქმელი რა მაქვს 18
* * *მარცვალ-მარცვალ ამოკინძულ სტრიქონს 18
ფერები 19
* * *ახლა ღამეული სიჩუმე 20
შენ ახლა ჩემი მიჯნური ხარ 21
* * *იყო ამ შეხვედრაში უცნაური წამი 21
სერაფიტა 22
* * *ერთი პატარა ნაკადული ვარ 22
* * *ნაღვლიანად აჩურჩულდა ქარი 23
* * *გზას უნაპიროს 24
* * *ამ ერთხელ მოგწერ 25
* * *სველი ქვიშა... მშრალი თვალი 26
* * *„სიყვარულიო... არ არიო მეფეთა ნება“ 27
ჩემო საქართველო 28
გალაკტიონს 29
* * *„აქაც ვიცით, ქალბატონო, ლექსის ფასი“ 30

* * *ყველა ვერ გაიგებს 31
ისევ გეძახი 32
ჩემი არეული ლექსი 33
* * *იფნის შოლტივით მოქნეულო 34
* * *ახლა უკვე წელზე ვიშლი დალალს 36
იწვიმებს?! 37
პოეტის სული 38
* * *...დღეს, თთქოს, გულმა დაიწყო 39
ეს სიყვარული – ნანინანატრი 40
* * *ცას შევყურებ არეული თვალებით, 41
* * *თოვლისფერია ახლა ეს ფიქრი 42
* * *შვლის ნუკრს ვეძებ 43
* * *მერე რა... რომ ჩემი ხარ-თქო, ვამბობ 44
* * *შენმა ნაჩუქარმა კოცნამ 45
სინანული 46
* * *მუზას ვუშარდები 48
***ის დგას ფიქრების ქარში 49
* * *ვიღაცა მოვიდა... ვიღაცა წავიდა 50
ბექას და ზურას 51
* * *წყაროს თავთან 52
* * *,,როგორ მომენატრა თოვლი 53
ჯეჯილი ჰყვაოდა 54
* * *საით მიდიხარ 56
* * *ხომ შეიძლება გათენდეს დილა 57
* * *მიიღეთ თუნდაც ეს სიტყვები 58
* * *მე თქვენს აჩრდილებს შევეფეთე 58
* * *რამდეჯერ 59
,,ბინდისფერია სოფელი“ 60
* * *შენა ხარ ქალი 61

* * *სიზმრად გნახე 62
* * *ღრუბლებში გამოსხლეტილი 63
* * *დღეს ლაბადა მომახურე 63
* * *ვითვლი დღეებს 64
* * *სადღაც ფიქრი გაწყდა და 65
მე 65
* * *მენატრება ის ერთი 67
* * *სადღაც უნდა დაგეკარგო 68
* * *ნოემბრის ქარი მიწეწდა ფიქრებს 69
* * *შენთან მომქონდა 70
* * *სიზმრად 71
ღმერთო, მომიყვანე მეორედ 72
* * * დილის ბინდზე... ცისკარს ასგზის დავუჩოქე 73
* * *ფიქრი ისევ აეკიდა დაღლილ ფიქრს 73
* * *ისევ უღიმღამოდ გათენდა 74
* * *შენს გზას და ბილიკებს 75
* * *დღეს სულში მძივებად ასხმულა სიკეთე 76
* * *შენ, ჭირვეულო ბავშვო 77
არის?! 78
* * *ახლა... როცა დასასრული 79
* * *დამესიზმრა 80
* * *როგორ გაიცრიცა წამი 81
* * *დღეს რომ სევდისფერი ღამე შემეფეთა 82
* * *ახლა ვერაფერს ვერ გეტყვი 83
* * *შორეთიდან გზას გამოჰყვა 84
* * *ია ამოდისო დედის ცრემლზე. 86
* * *შუაღამეა... ნახევარი სამის 87
* * *როგორ გავექცე ფიქრებს 88
* * *შენ არ დამიღონდე 89

* * *თუკი ზეცას არ ანათებს 90
* * *საყვედურს რომ ვისმენ 91
* * *ლექსო, რა დაგვრჩა სათქმელი 92
* * *ჩემი ხარ 92
* * *ეს მერამდენე დღეა 93
* * *მუზავ 95
ია 96
* * *ო, ქალბატონო 97
მინდოდა მეთქვა 99
ეჰეი, მამულო 100
* * *ო, რა უცებ გამიავდრდა 101
* * *წაიღეთ!.. დაფლითეთ! 102
* * *ზოგჯერ ცრემლით ვწერ 102
* * *თიბათვის ღამევ, გახსენი გული 103
* * *მზის სხივო, სად ხარ? იქნებ მიშველო, 104
* * *გუშინ მითხარი 104
პაემანი 105
* * *გესაუბრები 106
დამხატე 108
ხვალ შემიყვარებ 109
* * *წაიღეთ 110
* * *სულზე ფითრი მომედო 110
* * *ვკრეფდი პირიმზეებს 112
შორეული ფიქრი 112
მიმოფანტული ლექსი 113
* * *მე დღეს ვტირივარ?! – არა! 114
* * *სულდაღლილი სული აფახულებს თვალებს 114
* * *დღეს ეს აისიც არ აფერადდა 115
* * *შენი დარდი წავიკითხე ატირებულ ცაზე 115

* * *ახლა მინდა რომ დავწერო რამე 116
* * *მამულო, შენზე ფიქრი ღამეს მათევინებს 117
* * *ფანჯრიდან გავცქერი 118
* * *ღიმილები შევაგროვე გუშინ 119
* * *მოდის წვიმა 119
* * *...იფრინოს სულმა სტრიქონების 120
* * *– რა უგულო ხარო, – მითხრა 121
* * *– მე იგი მიყვარს !121
* * *მინდა მზე ვიყო 122
* * *შემოდგომა ნელა-ნელა 123
* * *ეკლესია თავად უნდა იყოს ადამიანი 124
* * * მიყვარს სულში გაჩენილი 124
* * *ატმისფერად განათდა დღე-ღამის გასაყარი 124
* * *მე წავალ ახლა, თეთრ ოცნებებს 124
* * *ისე ლამაზად 125
* * *სხვა სამყაროა იმ ზღვარს მიღმა 125
* * *ახლა ეს სამყარო ისე აირია 125
* * *ქარი ასკდება აცრემლებულ 126
* * *სევდას დაუფარავს 127
* * *მითხარი რამეო 127
* * *წავიდეთ, უტა 128
* * *შენი –ატლას-ხავერდები 128
მოდის ღამე 129
* * *მერე რა რომ დღეს თვალები გამიავდრე 130
* * *რამდენი წელი მე შენს ფიქრებს დავეძებ 131
* * *დღეს არის თუ 131
* * *აპრილი მირთავს აივანს 132
* * *გამშორდი ლექსო, ნუ მაღონებ 132
* * *წავედი, ჩემო, რადგან ძნელია 132

ජීවිතයේ උන්නතියක දැකීම,
සේවයේ අදහසින් පිහුණය ඇත්වෙලා..
නිදන්න දැනගන්න ලස්
ස්වදනාවක ලස්සනයි කතාවක්.

ජීවන්තිය ජීවන්තිලක්ෂන

ISBN 978-9941-0-
9789941073243

* * *დიდი ოხერი რამ არის ეს მუზა 133
* * *რისიც არ მინდა დანახვა 133
* * *წადი... შორს წადი 134
* * *ჩემთან ყველაფერი ადვილია 134
* * *ოცნებას მკაცრად მივუგდებ სათქმელს 134
* * *რად მეცოდები, ნეტავ, ნარჩიტავ 135
* * *მე შენი შიში მაშინებს ახლა 136
* * *მიხურეთ კარი... დამტოვეთ მარტო 136
* * *ცოტა ისეთი ვარ... არეული 137
* * *ახლა უნდა ვწერო 138
* * *რიჟრაჟს ცვარი აჩენს კოცნას 139
* * *მოდი გაზაფხულო 140
* * *რა მოხდა 141
* * *მე შენი ცრემლები, ჩემო პატრიარქო 142
ზვიადს 143
* * *შენ მარცვალ-მარცვალ დაეძებ საკენკს 144
* * *ბევრჯერ გაითელა რწმენის ბილიკები 145
* * *მომნატრებიხარ 145
* * *არაფერი ყველაფერი იყო 146
* * *აფეთქებულან ატმის კვირტები 146
* * *გუშინ იყო და 147
* * * გზის განაპირას ჩუმად ტირის 147
მესურვილები 148